

K 19050
2

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣପ୍ରତିବନ୍ଦ ଶ୍ରୀମତୀ ଦେବି



ଶ୍ରୀମତୀ ଦେବି
1952

899.2624

საქართველო
სამართლის

განვითარების
მინისტრი

თხზულებანი


K 19.050
2

V



- სახაზო დაცვა -

1952



სტალინის დროშით

სტალინის დროშით
 ქალაქთა ბჟენი
 და ველთ სიუხვე
 სიბრძნითა ჰქმენი:
 ქებათა-ქება,
 ქებათა-ქება,
 დიდ არს სამშობლოვ,
 სახელი შენი!

სტალინის დროშით
 სინათლის მფენი
 უძლეველ შრომის
 შეენებით ჰშვენი.
 ქებათა-ქება,
 ქებათა-ქება,
 დიდ არს სამშობლოვ
 სახელი შენი!

სტალინის დროშით
 ძლიერ რამდენი
 ომის ქარ-ცეცხლი,
 განსაკუდლის დღენი!

ქებათა-ქება,
ქებათა-ქება,
დიდ არს სამშობლოვ,
სახელი შენი!

სტალინის დროშით
დღეთ ჩვენთა ზნენი,
მშვიდობას ლოცავს
ყრძაა თუ ბრძენი.
ქებათა-ქება.
ქებათა-ქება,
დიდ არს სამშობლოვ,
სახელი შენი!

ვინა სოფია!

დაბლა ჰყირია ქვა და გუნდა,
 ხმელი ნეშო, რკო და წაბლი,
 მაღლა მთაა, საღაც უნდა
 გადაფრინდეს დირიგაბლი.
 გაოცებით მწყემსი წყნარი
 ისმენს ციურ დაირასა;
 ვინა სოჭვა, რომ ზეცის კარი
 სამუდამოდ დაირაზა?

ქვევით სახნის-კავის მდელო
 მიაქვს დროთა უხსოვრებას,
 ახალს აგებს საქართველო
 ბედნიერს და მძლე ცხოვრებას.—
 მაღაროდან მაღნის სრული
 ფენა შუქად დაირაზმა —
 ვინა სოჭვა, რომ მიწის გული
 სამუდამოდ დაირაზა?

მზეა მშრომელების ტომის
 და დიდებით მიღის დიდით,
 სოციალისტური შრომის
 სასწაულთა მაგალითით.

საფსე წრმენით და იმედით
 ხალხი მიდის ახალ გზასა,
 ვინა სთქვა, რომ მუშის ბედი
 სამუდამოდ დაირაზა?

მოლოდინმა მტრების თვალებს
 იმედები დაულია —
 ჩვენი დროშა დაფრიალებს,
 ჩვენი დღესასწაულია!
 გავარღვიეთ კლდე და ზღვარი
 და მსოფლიოს ვაწვდით ხმასა:
 ვინა სთქვა, რომ ქვეყნის კარი
 სამუდამოდ დაირაზა?

მხარეს ვხედავთ მდიდართ-მდიდარს,
 მას დოვლათი არ ელევა —
 და თავდასხმას არავითარს
 აღარ ძალუდს მისი ძლევა.
 მასსა — სტალინია მძლავრი,
 და სტალინი არის — მასსა,
 ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი
 სამუდამოდ დაირაზა!

ჭითელი გოვდანი

იქ ვდგავარ,
 სადაც მავზოლეუმი
 აღმართულია,
 ვით დროშა ჩვენი.
 შთაგონებათა
 მთელი ხვეული
 შენით იწყება
 უკვდავო ლენინ!

შენ გვერდით გედგა
 დიდი სტალინი,
 რარიგ მედგარნი
 შეიქნენ გრძემლნი,
 დაჰკრა დრო-უამბა
 და კაპიტალი
 ძირფესვიანად
 შეირყა, ლენინ!

მახსოვს აქ, სადაც
 მავზოლეუმი
 აღმართულია,
 ვით დროშა ჩვენი,

ცხრაას ჩვიდმეტით
 ღიადი კრემლი
 ვით გუგუნებდა,
 უკვდავო ლენინ!

მავზოლეუმი.
 კრემლი. ხალხია —
 ყოველივე ეს,
 დაუძლეოელი!
 კომუნიზმისკენ
 რომ შეარხია
 გზა ნათელ დროშით,
 უკვდავო ლენინ!

საბჭოთა მხარე —
 ეს სათავეა,
 მრავალ ბრძოლების
 და აღმაფრენის,
 ქებათა-ქება
 გერბს ვარსკვლავიანს,
 ძვირფასო ლენინ,
 უკვდავო ლენინ!

მშვიდობისათვის

გავკაფოთ გზა მშვიდობისა
 გზაზე მშვიდობით ვიაროთ,
 მშვიდობისათვის გულისთქმა
 ერთმანეთს გავუზიაროთ!

დიადი მშვიდობისაკენ
 შურება ჩვენი დიდია,
 მოშავალ კაცობრიობის
 ის გამძლე გზა და ხილია.

ხმა ალიმალლე, მსოფლიოვ,
 მტრისთვის პასუხისმგებელი,
 ვაშა მშვიდობის მძიებელს,
 ძირს ომის გამჩალებელი!

მშვიდობა თქვენდა ქვეყნებო,
 მომავლით უდასასრულო!
 აქა მშვიდობა, სამშობლოვ,
 გზა მშვიდობისა, წარსულო!

ძმავ, მშვიდობისთვის იბრძოლე,
 პირველად ის ალიარე,
 თუ ომი გადაიხადე,
 აშ მშვიდობის გზით იარე!

ხმა ალიჩალლე, სამყაროვ,
 მტრისთვის პასუხისმგებელი!
 ვაშა მშვიდობის მძიებელს,
 ძირს ომის გამჩალებელი!

რა კარგი რამ ხარ, მშვიდობავ,
 მოპოებულო ბრძოლითა,
 მშვიდობიანო შრომაო,
 სავსევ სინათლის ქროლვითა!

იმა სინათლის ალმურით
 მთელმა მსოფლიომ იალოს
 და დიდი ბედნიერების
 დროშები ააფრიალოს!

ხმა ალიმალლე, იბრძოლე,
 იყავ პასუხისმგებელი!
 ვაშა მშვიდობის მძიებელს!
 ძირს ომის გამჩალებელი!

მალე ჩვენ ვიტყვით: კარგ ბედით,
 მიწის ხმით, ცის ვარსკვლავედით,
 გზაზე მშვიდობით გავედით,
 სამშვიდობოზე გავედით!

გავკაფოთ გზა მშვიდობისა,
 გზაზე მშვიდობით ვიაროთ!
 მშვიდობისათვის გულისთქმა
 ერთმანეთს გავუზიაროთ!

ხალხის გენია, ხალხის ნიჭი

ხალხის გენია, ხალხის ნიჭი
 და ძლიერება
 ცხოვრების ზღვაზე მიმავალი
 ცოდნის გემია,
 წარსულის, აწმყოს, მომავალის
 მზით იფერება
 აკადემია,
 დიდებული აკადემია!

მშვიდობა, წინსვლა,
 მიღწევებზე არშეჩერება!
 შევქმნით იმ მერმისს
 და ჩვენ ვიტყვით:
 რა ედემია!
 სამშობლო მხარის
 არის დიდი ბედნიერება
 აკადემია!
 დიდებული აკადემია!

1941 წ.

ყოველ გრიგორი

ყოველ გრიგორი
 თუ ქარიშხალში
 მეღვრად დაენდე
 ცხოვრების საჭეს—
 მეტის გრძნობით,
 მეტის დანდობით!
 ყოველ წყვდიადში
 მანათობელ
 ცეცხლად აენთე,
 ელვარე ცეცხლად,
 სიცოცხლით და
 ახალგაზრდობით!

გაიცხოველე, ო, სამშობლოვ,
 გულის წადილი,
 დე, აღტაცება
 თან დაგდევდეს
 უჩენაესი.
 სხვაგან ნისლი და
 სიბნელეა,
 აქ კი — ნათელი,
 სხვაგან თოვლი და
 ყინულია,
 აქ კი — მაისი!

თავგადასავლით
 საოცარით
 შენი ხალისი
 თავის საყვარელ
 ახალგაზრდად
 მარად გიგულებს,
 და იმაისებს
 კვლავ იმგვარად
 შენი მაისი,
 და თაიგულიც
 იმგვარადვე
 ითაიგულებს!...

იელვებს ოქრო
 მშვენიერი,
 რა აღმოსავლით
 და დასავლეთით
 ბრინჯაოთი
 დაედინება —
 ოქრო ელვარებს
 უხვი ფერით
 უხვი მოსავლით:
 ოქრო, ნარინჯის
 და თურინჯის
 ქარვის ბრწყინვება.

და სილაუვარდე
 ვაზებისა,
 ჩქეფა მაჭარის
 ოქროსფერ ღვინოდ
 გადიქცევა
 და ბრწყინვას იგი...

მალლა აესწიოთ,
 მეგობრებო,
 ერთა ძმობისა,
 თავისუფლების
 და ერთობის
 ღიაღი წიგნი!

ადამიანურ
 ძლიერების
 აღიარება
 სამშობლოს წინსვლის
 ურყეველი
 მკვიდრი ფუძეა,
 ყოველ დღეს ჰშვენის
 უბრწყინვალეს
 გერბის ტარება,
 და ანათებს მზე:
 ოქტომბერი.
 რევოლუცია.

გეოგესის ხიდთან

ჩქარი დენა ზეირთზე ზეირთის,
 ყრუ ჩხრიალი დაბახანის,
 სუნი ხავსის და გოგირდის,
 თვალი ალა-მაჰმად-ხანის.

ბანი წელში მოხრილ სახლის,
 დაირის ხმა და დივანი,
 ნარიყალა და ირაკლის
 ღროინდელი აივანი.

ო, ირაკლის იცნობს ხევი,
 მისთვის თერგი სხვა თერგია,
 არ ჰქონია ტყვიამფრქვევი
 არც ატომის ენერგია.

არც ჰაერო, სივრცეთ მწვდომი,
 ტანკის ხმაც არ გაუგია,
 ისე გასჭრა ასი ომი,
 რომ ერთიც არ წაუგია!

მხოლოდ აი, ამ ადგილას,
 სალაც ქარი აგეთია —
 იმ სისხლიან დროის დილას
 განიცადა ტრაგედია.

ახლა ჩქარი დენა მტკვარის
 და ჩხრიალი დაბახანის
 გამარჯვების მოწმე არის —
 მოწმე ჩვენი ახალ ხანის.

ქალალდი

ქალალდი, სუფთა
 ზამთრის ველივით,
 შრიალებს ღამით
 თუ ღელავს დღისით,
 მარადის ფიქრობს,
 რომ ყოველივე
 იწყება მისით,
 თავდება მისით!

ქალალდი მრავალს
 იჩენს მარიფათს,
 ქალალდი მოდის
 რაგინდრაფერი:
 იყო, არის და
 რჩება ღარიბად...
 სწერთ? ქალალდია,
 სხვა არაფერი!

მაგრამ მოვიდა
ერთხელ მგოსანი,
შემოქმედება
აზრს შეუზავა,
ვეფხის დაარქვა
მას ტყაოსანი,
და საუკუნე
გააუკვდავა!

მ ა ხ ა თ ა

ჩვენ გვაწვალებდა
ძველი მახათა.
განმარტოებით
ხე იღგა მთაზე.
ქარმა გახადა
მას სამოსელი
და იღგა ასე.

და ეკლესიას,
როგორც სამსალა
გარს ეხვევოდა
ქარი მცურავი.
გადააცალა
ეამთა დინებამ
მას სახურავი.

როგორც ხე, ისე
ის ეკლესია,
უპატრონოთა
არაკის მსგავსი,
მას შეესია
წამშლელ წამთ გროვა
ათას-ათასი.

და წარიტაცა,
 გაშიშვლდა გორა,
 მაგრამ ცისკარმა
 ნათლად დახატა,
 თმა გაუსწორა
 და ნათელ შუბლით
 ბრწყინავს მახათა.

და ხედავს ძველის-
 ძველი მახათა
 მისკენ, ვით შორი
 სწორისკენ სწორი
 მტკიცედ, ლალად და
 ფრთხების სისწრაფით
 იწევს სამგორი.

აღაშე, მზე!

აღავსე მზე,
 ეს შემოდგომა
 ნაყოფით, რასაც
 ვთვლით და ვერ ვითვლით.
 დამავალ შუქის
 ფერთა მოდგომა,
 ტოტთა სიუხვით,
 ფერთა სიყვითლით.

რომ ამაყობდეს
 შოწევის დროით
 შრომა დიადი,
 შრომა საზეო.
 ვენახთა ხვავით,
 ყანის ოქროთი,
 ეს შემოდგომა
 აღავსე, მზე!

სასრავლო ჭლის დაწყება

მოგილოცავთ, ბავშვებო,
 სასწავლო წლის დაწყებას,
 გისურვებთ გამარჯვების
 ღლეთა წყებათა-წყებას.

თქვენთვის, დიდი ხანია,
 რაც დილამ ირიერაუა,
 ცოდნას დედა-ენისას
 კიდევ ვაშა და ვაშა!

ბავშვს ჩამძინა

ბავშვს ჩაეძინა
 შეურაცყოფილს,
 მაგრამ ბელნიერს
 გამოელვიდა.
 სიზმრად ხელავდა
 ალვებს აწყობილს,
 ფშვენდა ალუჩა,
 ნუში, ლელვიცა.

ესიზმრა: ია,
 კიდევ სუმბული,
 ნაზი ნარგიზი,
 ყაყაჩო ლალი,
 ვარდს გარს მორტყმოდნენ
 სულშეგუბული:
 —გადარჩენილა,
 სოჭვა, ჩვენი ბალი!

გამარჯვების დღე
 ყველას ძმობილობს,
 არის მშვენიერ
 ფერთა შეხვეწა.
 ასე ეძინა
 უკმაყოფილოს,
 ასე ბეღნიერს
 გამოელვიძა!

ოთხი ღრმ

დროო, როგორ თრთის
 შენი წამწამი,
 კაცი თავს გადგას
 მუდამ სამ-სამი
 არა ერთფერი.

შენ აგაყვავა
 პირველმა სამმა,
 შენ გაზაფხულის
 გფარავდა გამმა
 და ყვავილთ მტვერი.

შემდეგ მოვიდა
 მეორე სამი,
 ზაფხულის ბალად
 აქცია წამი
 გაზაფხულისა.

მესამე სამმა
 შეჰერა, მოჰერნა
 ველთა ათასი
 ძნა ტონა-ტონად,
 შვება გულისა.

მაგრამ მოვარდა
მეოთხე სამი,
მრისხანემ რისხვის
წამოსასხამით
დაისაღვურა.

მთებს შთაუბერა
სული სხვაფერი
კვლავ შეუბერა
და ყველაფერი
გაანაღვურა.

მაგრამ ხომ მოვა
პირველი სამი,
გამოაცოცხლებს
ყვავილებს ნამი
ციური კალთის,

განვლილი ჭირი
უჩნდეს არაფრად,
გაიფრიალებს
ცისფერი აფრა
ლამაზ ხომალდის!

1916
ზამთარი

რუსთავი

თვით ფოლადი ქლერს, მღერის:
ვით არ მოელხინება —
აქ არავინ ერთ ადგილს
არ დგას, არ იყინება.

რუსთავსაც მზე უკეთეს
მერმისისთვის ინახავს,
მომავალი მხარისა
მრავალ გზას დაინახავს!

ჩემო სოფროზო

ჩემო სტუმრებო,
 მე ეხლა რა ვარ?
 მოვხუცდი. წინათ
 უნდა გენახეთ,
 თვალუწვდენელთა
 და მრავალთ-მრავალ
 ველთა მთესველად
 და მევენახედ!

მაგრამ ის ფიქრი,
 ეხლაც მღიმარე
 უახლეს დღეებს
 ვით არ დარაჯობს!
 უჩემოდა სფამთ?
 ეს ვიცი, მაგრამ
 მეც მათქმევინეთ
 — მზეს გაუმარჯოს!

აბესინელო!

იტალიიდან
 თავს დაგტრიალებს
 პაეროპლანთა
 მსუსხავი ჩრდილი:
 იგი ჩრდილია
 მხოლოდ სიკვდილის,
 ჩრდილი და არა
 თვითონ სიკვდილი!

შენ არ ჩააგო
 ქარქაშში ხმალი,
 რევანშის გრძნობა
 არ შეინელო,
 სადაც შობილხარ,
 იმ მთაგორების
 იყავ ერთგული,
 აბესინელო!

დარბევა. ქვეყნის
განადგურება.
რა სამარცხვინო
ასპარეზია.
ო, ეშინოდეთ
იმგვარ სიცოცხლის...
ის ხომ სიკვდილზე
უარესია!

1936 წ.

ମତେରି ଉନ୍ଦରା ଧିଲିନୀ

ଏହି ସିଲାଶବ୍ଦାରଙ୍ଗେ
ଦନ୍ତେଲ୍ଲଙ୍ଗେବା ଖେପିଲା,
ଅରିଲା ମଥାର୍ଯ୍ୟରେ
ଜାରିଲା ମନ୍ଦରେବା,
ଘ୍ରାନାକଳିଗ୍ରହଙ୍ଗେବା
ଅଶ୍ରୁକାରା ମନ୍ତ୍ରସ୍ତୋର,
ଶାଶିକୃତିଗ୍ରହିଲାଲ ରମନ
ଏହି ଧେପନ୍ଦରେବା!

ମତ୍ରେରି ଉନ୍ଦରା ସଦଲିନୀ,
ରମନ ଗୁଣ୍ଠି ଦାଲିଦେଶ,
ଗଢିଲା ଗାମନଶୁଭଦେଶ
ନାତେଲି ସବେତି.
ବେଳ ଗାଲାଲିକାବେ
ମତ୍ରେରତା ସିକ୍ଷାଲିଦେଶ,
ବେଳାରା ଦାଲା —
ଶିକ୍ଷିଗ୍ରହିଲିଲା ମେତି!

1941

იცოდეს ყველამ

ყველა საომრად
 გავიდეთ, რომა
 შემდეგ ვისუნოქოთ
 მშვიდობის ზეცა,
 რომ სიმღერებად
 ვაქციოთ შრომა,
 რამაც სიცოცხლე
 გაგვიორკეცა.

იცოდეს ყველამ,
 რომ გამარჯვება
 ადგას ამ არეს
 და ყოველს ხედავს:
 მომავალ სოფელს,
 მომავალ ქალაქს
 და მშენებლობით
 აგზებულ მხედარს.

1942 წ.

ოდას შეუცვლია ფაცხა

ოდას შეუცვლია ფაცხა.
 შუადღეა, მწარედ დაცხა.
 აკვანს კატა უთამაშებს,
 დედამ შეუძახა: აცხა!

დედა ადგა და ჩონგური
 კედლით ჩამოილო. თანაც
 ზედ თავისი მგრძნობიარე
 დაამლერა იავნანა.

ის მლეროდა და მის ხმაში
 მოისმოდა ბევრი რამა,
 რომ საგმირო-სამამულო
 ომში არის მისი მამა.

რომ ციხესთან ცხენზე მჯდარმა,
 წასვლისას ეს დაიბარა —
 რომ სამშობლოს ერთგულ შეილად
 გაზარდეთო ეს პატარა.

ასი ერთზე რომ მოვიდეს,
 იგი მტკიცედ იდგეს წინა.
 იავნანა, ვარდონანა,
 იავნანა, პაწაწინა!

1933 წ.

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଲାଭଶ୍ଵରପା

ଗାନ୍ଧୀରଙ୍ଗା, ଶାଲାକ୍ଷ୍ମୀ
 ତାପଦେବା ଶାରୀ
 ଦା ମହେନ୍ଦ୍ରନୀରି
 ନିଷ୍ଠୁରବା ଯାନା.

ଲା ମାନଜାନିଲାନ
 ଦିରିଲେ ଗାନ୍ଧୀରଙ୍ଗା
 କାହିଁ ମାଲାଲି,
 ଫାରମନ୍ଦୀଲେଖା
 ମାଶି ମିଳିଲେ
 ଲା ମନ୍ଦିରପୁଣି
 ଦାରୁଶକ୍ତାପ୍ରେଦିଲେ
 ନୃତ୍ୟ ଲାଭଶ୍ଵର.

ନୃତ୍ୟ ଲାଭଶ୍ଵର
 ଶେମନ୍ଦ୍ରପୁଣି ଗାନ୍ଧୀରଙ୍ଗା,
 ମତିରୁ ମିଳିଲେ
 ମାଲାଲା ମାଲାଲି,
 ପ୍ରକାଶିଲନ୍ଦିନୀ
 ଲା ମନ୍ଦିରପୁଣି
 ଗାନ୍ଧୀରଙ୍ଗା
 ଗାନ୍ଧୀରଙ୍ଗା.

რა კარგი არის,
 რა საამური
 ნაცნობის,
 მაინც დავიწყებულის
 მიღამოებზე
 ხელახლა გავლა,
 რა აღტაცებით
 გიღელავს გული.

რა სიმსუბუქით
 იწევა მკერდი,
 როს იგონებს ომს —
 სიმარჯვის არეს.
 დიდიხანია,
 რაც არ უნახავს
 ეს ადგილები
 მებრძოლს მღელვარეს.

შეხვედა მეგობარს,
 მონახა თასი,
 და შიგ ჩაუშვა
 წითელი ლვარი
 და ცხრა მაისის,
 გამარჯვების დღის
 აწ სადღეგრძელოს
 სვამს მეომარი.

1945 წ.

ვეკვეთეთ მომხვდურთ და გავითარჯვეთ

ვთქვით —
 უშორესი
 გზა გადავლახოთ,
 გადავიაროთ
 კლდენი და ლრენი,
 რადაც არ უნდა
 დაგვიჯდეს,
 ვნახოთ
 მეგობარნი და
 მოძმენი ჩვენი.

შევერთდით
 ბრძოლით,
 შრომით და გარჯით,
 ვეკვეთეთ მომხვდურთ
 და გავითარჯვეთ!

ხელხვავი

მე დაგინახე:
 მხრები მოხრილი
 ჰგავდა გადმოხრას
 უმძიმეს ეაზთა.
 მტევნების ხვავთან
 შენ მუხლმოყრილი
 სჩანდი ლამაზი
 და ახალგაზრდა.

ასე, თანაბრად:
 აქ მზიურ ძელქვას
 ათრობდა ნორჩითა
 ვაზთ წლოვანება.
 შორით შორს, სადღაც
 ჰქუბდა ხელხვავის
 აუშერელი
 აღფრთოვანება!

ბავშვს ღიაბილი არ უქრება

ბავშვს ლიმილი არ უქრება
 და მისი ზრდა
 მზის ნერგია,
 ამაოდ გზა ემუქრება
 და ატომის ენერგია..

მწერთნელო! ბავშვის
 დაიფარე
 თვალთა ელვა და გიზგიზი,
 მისი რწმენა მოელვარე,
 მისი მღერა და კისკისი.

არ მოაკლდეს
 ბავშვებს ზრუნვა,
 არ შეეხოს ქართა ლელვა.
 რისხვა მათ,
 ვინც მოისურვა,
 ყვავილების გადათელვა..

თქვენ კი,
 ვინაც ასე უვლით
 ჩვენს მომავალ
 გმირთ და მცველებს,
 ქებას გიძლვნით
 მთელის გულით
 და მაღლობას
 უგულწრფელესს.

19 ოძოვებერი

ვით არ მახსოვდეს!
 არავითარი
 ქარი არ ჰქონდა,
 ზღვა იყო წყნარი.
 და რამდენიმე
 ათას ქალ-ვაჟს ვერ
 იტევდა სახლი,
 ზღვის პირად მდგარი.

ახალგაზრდობას
 სცენაც აევსო,
 დარბაზს იქითაც
 გაშლილი ეზო
 უსმენდა მგოსანს.
 გვქონდა შეხვედრა
 არა უბრალო
 და უმიზეზო.

არა! თაობა
 აგზნებულ გზებზე
 დღეს ადიდებდა
 ქვეყნის მეექვსედს,

სალხს, საქართველოს,
 სახალხო მიზანს,
 დიად სამშობლოს
 და მის მელექსეს.

სიმართლეს კერას
 ვინ გაუციებს,
 თუ კი მოვლენებს
 მიზეზს უძიებს.
 ჩვენ ვსაუბრობდით
 მშვიდობის გზებზე
 ჩვენ ვიგონებდით
 რევოლუციებს!

ასე ბრწყინავდა
 დიადი მცნება —
 რომ მოქმედება
 და მოსაზრება
 ყოველი წევრის
 ერთი მიზნისკენ
 ერთი შეგნებით
 განისაზღვრება.

ამაღლვებელს
 და მოგრიალეს
 ცხადად ვხედავდი
 სიმართლეს ხალასს —
 მხოლოდ ერთობა
 ცალკეულების,
 წარმოადგენს დიდს,
 უძლეველ ძალას!

აშგვარად ქლერდა
დაუვიშყარი —
იმ ახალგაზრდა
მგოსნების ქნარი,
როს რამდენიმე
ათას ქალ-ვაჟს ვერ
იტევდა სახლი
ზღვის პირად მდგარი:

ვადობოთ მედგრად

რომ გავკაფოთ ბნელი მკვეთრად
 და გავსწიოთ წინ და წინა —
 ვანთოთ ქურა, ვჭედოთ მედგრად
 სანამ ცხელი არის რკინა.

უნდა ვძლიოთ ეს სიბნელე
 და მოთმენა უხუცესი,
 იგი მეფე, შემამულე,
 ის ბანკირი და ხუცესი.

1905

ახალგაზრდებო

ახალგაზრდებო!
 გვირგვინოსნების
 ჩვენ მიგვაჭვს ღროშა
 ღიდი მგოსნების,
 ღროშა სამშობლოს
 სიყვარულისა
 და უმაღლესი
 პატიოსნების.

ღროშას ზე ააქვს
 და ეფრთოსნება
 მშრომელი ხალხის
 საქმე, ოცნება:
 ყველაფერს ქვეყნად |
 მზეებრ ანათებს
 ისევ და ისევ
 პატიოსნება!

1908 წ.

გრძნობათა შეჩენი

ველნი ჰყვავიან
 გულო, დაწყნარდი!
 ადრე თუ გვიან
 სიცოცხლის ვარდი
 ბეღნიერებად გადაიშლება...
 დროც ხომ წინ მიდის,
 დროც ხომ იცვლება?!
 არის სადღა ცა

ნეტარი მხარე,
 არის წმინდა ცა
 შუქით მგზნებარე.
 ილვიძებს ველი საგაზაფხულო,
 დაწყნარდი გულო.
 დაწყნარდი, გულო!

1911

ამ სანაზას

ბევრი გრიგალი
 ქვეყნად გრგვინავდა;
 იტყოდი: ტყვია
 და რკინებია,

სძინავდათ შიშით,
 სძინავდათ მართლა,
 შენ კი, არასდროს
 არ გძინებია!

შენს ლეგალურს და
 არალეგალურს
 ყოფნას თან სდევდა
 საშიშროება;

აწ რკინასა სჭედ,
 თუ ლეწავ კალოს —
 დლებედნიერს გყოფს
 ჩვენი დროება.

ქალს მთებიდან

როდესაც ვუცქერ
 მე შენს თვალთა
 უძირო ლაუგარდს,
 როცა თვალი თვალს
 უსწორდება
 არა შემთხვევით,
 დატოვებული
 შორი კუთხე
 მომაგონდება;
 მოგონებები
 თვალწინ ჩბიან
 სევდიან რხევით.
 მე მაგონდება
 ერთი ძველის
 ძველი ჩარდახი,
 გვერდზე მოხრილი,
 შავი ყავრით
 გადახურული
 და ბალი შორი,
 სავსე ვარდით,
 ცაცხვის ხეებით,
 მარჯვნივ და მარცხნივ
 დაქსელილი
 და დაბურული.

რამდენი ღამე
 მითევია
 შენს მოლოდინში,
 ცას ვარსკლავიანს
 შუქს მატებდა
 ელვარე მთვარე.
 შენს მოლოდინში
 ო, ვინ დათვლის
 თუ რაოდენი
 გამოუცნობი
 მღელვარების
 ღამე ვატარე.
 იმ ვარსკლავებით
 ირწყვებოდა
 ჩემი ვარდები
 და იმ ლოდინით
 იქმნებოდა
 მომავლის ნანა,
 შენ არსად სჩანდი;
 მაგრამ ჩემთვის
 უცხო არ იყო
 შენი თვალების
 იდუმალი,
 წმინდა ქვეყანა.
 და დღეს, როდესაც
 შენ აქ გხვდები,
 უმადლო ბრძოში,
 თუ რას განვიცდი,
 ცამ, სინდისმა
 იცის მარტოდენ;

ვინ დააფასებს
 მაგ სიჭმინდეს
 ამნაირ დროში,
 ვინ დააფასებს
 თუ მაგ გულში
 რა ძალნი თრთოდენ?
 მე ვვრძნობ შენს ირგვლივ
 მხიარულ და
 უდარდელ ქალებს,
 ვიცი—რას ფიქრობს
 გიუ ფერხულში
 აქ თვითეული,
 მათ მხოლოდ სახეს
 არ უშიშვლებს
 შავი ნილაბი,
 თორემ იქ... გულში...
 რა ქარია
 გადარეულნი!
 და მარტოობის
 სურვილებით
 მე მათ ვშორდები,
 როს მეწამლება
 გული ასეთ
 უმიზნო ხმებით,
 ვდგევარ კუთხეში,
 სიბნელეში,
 ვუცქერ შორიდან,
 არ მსურს ვცხოვრობდე
 მათი გრძნობით,
 მათი მიზნებით!

განკიცხვის ლექსი
 იბადება
 მაშინ ჩემს გულში
 და ილესება
 როგორც დანა
 გლადიატორის.
 და ვწუხვარ, ვწუხვარ,
 რომ დღეს თუ ხვალ
 ეგ მძლავრი ტალღა,
 შენაც ჩაგითრევს
 მოლივლივე
 ტალღათა შორის!

1912 წ.

ნასაკირალთან

არა სასახლე,
 ოქროს ჩარდახი,
 სიმღიდრეების
 რომ სადგურია,
 შენი გურია
 არის პარტახი,
 პალიასტომი
 არის გურია!

მის ნასაკირალს
 სახალხო ჯანყი
 აღძრავს, აღელვებს
 და აპირქუშებს,
 მისთვის მებრძოლი
 ჩაგრული ხალხი
 ვერ თვლის ჭრილობებს,
 ველარ იშუშებს!

არა დათმობის
 გზა საზიზლარი,
 არა დანდობა
 და შერიგება,

არამედ ბრძოლის
გვინდა ცისკარი,
გვწყურია შებმა
და შურისგება!

უნდა გაირღვეს
ეს გარემოცვა...
ძირს მეფეები,
ყენი, ფაშა!
მიმავალს წასვლად
გზათა დალოცვა,
მომავალს ჩვენი
მხურვალე ვაშა!

1914. წ.

შორი ხმა ლოკომოტივის

მოკლე, შორი ხმა
 ლოკომოტივის,
 გაიჭრა ღამის
 სიწყვდიადეში.
 შორს იწია — რა
 სივრცეში ჩივის
 უცებ შომწყვდევას
 უცნობ ბადეში.

ამაოდ ეძებს
 ღამეს დაწრეტილს,
 ახლოს, მშობლიურს,
 არა გარეჭარს!
 ისევ დუმილი
 სვამს მრავალწერტილს,
 და მიაფენს კვამლს,
 როგორც შავ ზეჭარს.

მოკლე, შორი ხმა
 ლოკომოტივის
 მიჩუმდა. ღამე
 აწვდილა ცამდის.

մոհկութեա, մացրած
 գյումոլին լվացու
 մռածլուզեօն
 դուք ցանտուածուս!

դանցրեցուա
 եսուու, հյունուցիս,
 ծնյու սացցուրուան
 կըլազ կուրու էյուցուս,
 գյումոլին լվացուս,
 գյումոլին լվացուս,
 մռածլու, մռածու եմա
 լույսումուրուցուս.

1916 թ.

შეხედეთ, მიზა!

გემის ბაქანზე
 ვიდექ მარტო.
 მინასებრ მწვანე—
 ყინულთ კედლები
 აწვებოდნენ
 გემს მაღალ მხრებით;
 შეუბრალებელ
 და ურყეველ
 ბარიერებით
 გადაიკეტა
 მომავალის.
 გზა მოტორტმანე.

იდგნენ ყინულის
 სასახლეთა
 მუნჯნი გროვანი,
 ყინულის მთები
 და კოშკები
 მაღალ თაღებით,
 რაც იყო თვალით
 სანახავი,

ხელშესახები,
ისახებოდა
ვით ქალაქი
ყინულოვანი.

მკრთალ—მოზურმუხტე
სავსე მთვარის
დალლილი სახე
ცივზე-ცივ ნათელს
ყოველივეს
ახვევდა ზეწრად.
და იმ ნათელში
იმ საოცარ
წამში, უეცრად
მაღალ ანძასთან
ხელში დროშით
შენ დაგინახე!

შენ დაგინახე.
სიცოცხლისა
გენიავ ჩემო!
როგორც კი გულმა
სიახლოვის
შეიგრძნო ძლევა—
დამაყრუებელ
ხმაურობით
დაიწყო წერევა,
რაც კი ყინულთა
გარემოცვა
იყო გარშემო.

წყალქვეშ მიწის ძვრას
 ედრებოდა
 ძალა ხმოვანი.
 მივვარდი საჭეს
 ყინულთაგან
 თავისუფალი.
 ვხედავდი—როგორ
 დაყირავდა,
 როგორც ღრუბელი
 და გაიფანტა
 ის ქალაქი
 ყინულოვანი!

ის ციხეები
 და კოშკები
 ჩაიმსხვრნენ მაშინ,
 უზარმაზარი
 ლილის მთები
 ჩემს თვალთა წინა
 განიფრენებოდენ
 ისე, როგორც
 მსუბუქი მინა
 და მწვანე ნათლის
 ელვარებით
 წვებოდნენ ზლვაში.

როგორც დაიძრა,
 ისე მალე
 გაიჭრა გემი—
 ხმლის მოქნეულის
 სიბასრით და
 ისრის სისწრაფით!

განვლო მანძილი
 ავსებული
 ყინულთა ქაფით
 მხარისკენ, რომელს
 საოცნებო,
 ჰქვია ედემი.

შეხედეთ, მიწა!
 სიყვარულის
 გრძნობებით მკვიდრით
 ჩვენ გვეგებება
 აქ გულწრფელი
 სიცოცხლის ქნარით
 ჩვენი ბრწყინვალე,
 ჩვენი ვრცელი
 სამშობლო მხარე,
 ზღვის ნაპირები
 ასწლოვანთა
 ხეთა სიმდიდრით!

ასე ვხედავდი,
 მშვენიერი
 და დიდებული
 მოსჩანდენ მთები,
 მე მესმოდა
 იმათი ძმობა.
 ეს იყო მათი
 გარდაქმნა და
 ახლად სრულყოფა,
 და სიღიადე
 მალლა, ცამდი
 შეკიდებული!

სმენა იჭერდა
 უსაყვარლეს
 მდინარეთ ხმაურს,
 ჰაერში იღვა
 სურნელებათ
 სხვადასხვა ზვავი.
 ნაპირებიდან
 შემპარავი
 ჰქონდა ნიავი,
 რომელიც მარად
 ზღვას. შეჩვეულს
 ხიბლავს მეზღვაურს!

სადღაა ყინულთ
 ურიამული
 და ქარის სტვენა?
 ო, მომავალის
 დიდი რწმენის
 კარგო ბუნება...
 შენ შეგიძლია
 დლეთა ჩვენთა
 შემობრუნება,
 მშვენიერ დლეთა
 შეგიძლია,
 მომმადლო ენა!

1917 წ.

ოქროს ნაგით

ოქროს ნაგი
 მიესაჭა რა,
 ლაუვარდი,
 ნამის მწოვარე,
 შენს მთებზე,
 ჩვენო აჭარავ,
 ცაა და შისი
 მთოვარე.

მივდივარ ზღვის პირს,
 თვალი რბის
 და ალტაცებას
 ვერ ვფარავ,
 აჭარავ,
 ცხადი ოცნების
 თვალ-მარგალიტო
 აჭარავ!

ავი მუსაიშვილი

გაფიქრებდეს
 ხელ-ირიბი
 ზეწარწერა
 ძკელი ხმლისა:
 „მე ვარ ავი
 მუსაიფი
 კახთ ბატონის
 ირაკლისა“.

მუსაიფი,
 მუსაიფი!
 ბევრ კოხტას და
 არა კოხტას,
 მრავალ ხონთქარს,
 ხანს და ნაიბს
 ესმოდათ ის
 რაც კი მოხდა.



შორს ნავს ვხედავ
მარტოლ-მარტოს,
წყალზე ვლიდა
მუღამ ფრთხილი.
ვეჭვ, ზღვამაც
ვერ განგვიმარტოს,
მუსაიფი
მისი ტკბილი.

1942 წ.
ბათუმი.

მთიჩველი ქალი

ერთი ახალგაზრდა ქალი,
 მოხდენილი — როგორც შველი,
 ცვარნამიან ბალახებზე
 მიღიოდა ფეხ-შიშველი.
 ანათებდა მთა და ველებს
 გამოხედვა მისი სულის,
 მიღიოდა ნაკადის პირს —
 თვით მსგავსება ნაკადულის.
 მიღიოდა — სადაც ლალი
 ბალი იყო დანამული,
 მიღიოდა — სადაც ედემს,
 აყვავებულს, ჰგავს მამული.
 დაღიოდა გაბრწყინვებულ
 სახით მობიბინე ველად,
 ხელში ცელით მიღიოდა
 და მღეროდა უზრუნველად.
 ამდგარს დილის მზესთან ერთად —
 ჯერ არ სურდა წასვლა შინა,
 და დალალულს თივის თიბვით
 ჩრდილ ქვეშ მკლავზე მიეძინა.
 ზენა ქარი ამოგარდა,
 უცნაური ქართაგანი,
 შეურხია ქალს დალალი
 და განაკვთა ლერწმის ტანი.

ამდროს, გმირი და შხატვარი
 მთიდან მოდიოდა მწყემსი.
 დაინახა, გულში გრძნობა
 აუდუღდა უშმაგესი.
 უნაზეს და ულამაზეს,
 სიზმრებში მყოფს, პირმცინარეს,
 მწყემსი იგი, მოხიბლული
 დააცქერდა ქალს მძინარეს.
 და იფიქრა: ამაზე კარგს
 რას შექმნისო ჩემი ხელი!
 მსწრაფლ შეუდგა ქალის ხატვას
 მგზნებარე და გულ-ფიცხელი.
 რაც დახატა იმის მსგავსი
 არ არსებობს ქვეყნალ დღემდე—
 კმაყოფილმა თავის ნიჭით
 ველარ მოითმინა—შემდეგ
 გააღვიძა: ორთავესი
 გული მოჰყვა ტრფობის ბაღეს,
 და სულ მალე მათ ქორწილი
 დიდებული გადიხადეს.
 აწ ცხოვრობენ უდარდელად,
 უმაღლიან დღეთა დენას.
 სურათი კი ახლაც ამჟობს
 ჩვენს სამხატვრო გამოფენას:

ძველი წისძვილის გვა

ეს წისძვილის ქვა,
 ეს წისძვილის ქვა!
 რამდენს ითვლის დღეს
 ფიქრი სხვადასხვა.

მზე კარებთან თვლემს,
 მოტეხილი თხემს
 მოაქვს პაპაჩემს
 ეს წისძვილის ქვა.

გასაფრენად მზა
 შევცემეროდი ცას,
 მაგრამ ჰყრავდა გზას
 ეს წისძვილის ქვა.

გავცემეროდი ვრცელს,
 ფაზის ჭალა-ველს,
 მაგრამ მება ყელს
 ეს წისძვილის ქვა.

ვთქვი: გავცდები ხევს,
 ძალას ძალა ძლევს,
 უძრავად რად დევს
 ეს წისძვილის ქვა?

დავიგროვე სხვა
 ქარტეხილი, ზღვა.
 დატრიალდა მსწრაფლ
 ეს წისქვილის ქვა.

გაჰქრა გულისწვა,
 ობლის კვერი ცხვა.
 აწ ტრიალებს, რბის
 ეს წისქვილის ქვა.

არის ხეთა რგვა,
 არის ველთა რწყვა.
 ყანებს უმღერს ვრცელს
 ეს წისქვილის ქვა!

ი პ ა ტ ი

ყრუ მონასტერი იპატიევის...
 აი სათავე
 სინათლის რწმენის არპატიების,
 წინსვლის საღავე.
 იმ კედლებიდან რუსეთი ნანობს
 შეცდომას მწარეს,
 რომ ჩააბარა ტახტი რომანოვს,
 მტერზე უარესს.
 სამასზე მეტი წელი გატევის
 მოსჩანს, ვით მტვერი,
 მათი სამშობლოც, იპატიევის
 ყრუ მონასტერი.
 აი, აჩრდილი სქელი მტვერიდან
 საუკეთესოს
 დიდი ხნის შემდეგ მონასტერიდან
 მიღვა ეზოს.
 ვისია სახლი?—ჰკითხულობს ბერი
 მსხვერპლი ძიების,
 უპასუხებენ: ინუინერისა,
 იპატიევის.
 აქ ყველაფერი თითქო ქანაობს,
 როგორც სიმბოლო,
 აქ უკანასკნელ მეფეს—რომანოვს
 მოელო ბოლო.

1935 წ.

ხალხი და „მთავრობა“

ევროპა მოსჩანს
სულ ორი დროშით.
არენის ქარი
აქანებს დროშას:
იფურთხებიან
მთავრობის ლოჟით
და აფურთხებენ
მთავრობის ლოჟას!

1927 წ.

რადიო

ხედავთ, რაგვარად შეამოქლა
 რადიომ სივრცე.
 მაგრამ იქ, პარიზს,
 ნიუ-იორქს, ლონდონს და ვენას,
 იმპერიალისტურ
 ხმაჩახლეჩილ რადიო სმენას
 ავსებს მუდმივი
 შანტანები და ექსცესები.

აქ კი,
 გასძახის სივრცეს თბილისი
 პოეტი ხალხის,
 იგრძნობს რა ხანას,
 ამ ადგილიდან რადიოთი
 ამცნობს ქვეყანას,
 რომ მასთან მიაქვს მღელვარე გულა,
 შრომა, ლექსები და სიხარული.

აშერიძისა იმგვარ სცენს გული

აშერიძისა
 იმგვარ სცენს გული
 რომ არ ივიწყებს ძველებურ რომანს:
 გამომიგზავნე, ევროპა, ფული,
 ნუ დაიზარებ ქვეყნისთვის შრომას.

ცოტა კი უნდა გქონდეს ნამუსი,
 პატივისცემაც სხვისაღმი ცოტა,
 რომ არ ჩაიცვა ტანისამოსი,
 ასი წლის წინათ რომ იყო მოდა.

ახლა არ გშვენის მარაოს ქროლა
 და გაგიდაზე დაიდაყვება,
 d'instiction-ი რომელიც მხოლოდ
 დაბადებას და ალზრდას დაჰყვება.

1930 წ.

იზგლისი და შემორჩენილი შტატები

აქ კი ინგლისი და ამერიკა—
 ორი ქვეყანა, ორი გიგანტი,
 ახლო მოჯარდა და მოერეკა
 ყალხზე ამდგარი გათიშვის ლანდი.

ვერ მოახერხეს მათ მორიგება.
 პირველის მეფე დოლლარი არის;
 ვეშაპს, მსოფლიო ექსპლოატატორს,
 სურს შეებრძოლოს მეორე მხარეს.

ზღვების მეუფეს—ბრიტანეთს ძლიერს
 ოკეანეზე სურს ბატონობა,
 დაეპატრონოს ბაზრებს ქვეყნიერს,
 კოლონიების სწყურის მონობა.

ამერიკა ჰქმნის საზღვაო ძალებს,
 მან კარგად იცის, რომ უდიერი
 ზარბაზნების და ტყვიების ძალით
 თუ დაშინდება ეს ურცხვი მტერი.

იარაღდება! რა არის მისთვის
 დოლლარი? ის იქ აღარ ეტევა
 და ადგილს ეძებს, რომ დააბანდოს
 და გადასწყვიტოს დოლლარის რყევა.

ორი გიგანტი, ორი მტაცებლის
 უსინიდისო, ურცხვი სახება,
 შეუბრალებლად, ადრე თუ გვიან,
 ერთი მეორეს დაეჯახება.

1930 წ.

ეგროპავ, გახსოვს?

ევროპავ, გახსოვს,
 რომ გარიგებდენ:
 შენ მწუხარებას არ მისცე თავი.
 გზაში შეგხვდება
 მერანი ორი —
 ერთი თეთრი და მეორე შავი.
 თუ მოახერხე
 იეთრზე შეჯდომა
 არ შეგეშინდეს მისი კისრულის,
 ის ფეხით კლდეებს
 გადაეჭდობა,
 შენ — ნათელ მხარეს გადაგისროლის.
 მაგრამ თუ შავზე
 მოხვდი შეცდომით —
 საამსოფლიოდ არ ევარგები,
 მწარედ ინანებ
 მასზე შეჯდომით,
 სადმე წყვდიადში გადიკარგები.
 რომ დაიღუპე
 ქვეყანაშ იცის
 და არავისზე გაბედო ძვირი,
 შენ აირჩიე
 შავი — და ისიც
 არა მერანი — არამედ ვირი.

1930 წ.

ინდოელების იყო მიტიჩი

ინდოელების იყო მიტინგი.
 იქ განაცხადეს:
 ჩვენთვის მრავალი წითათი დიდი
 ამზადებს ბადეს.
 და ინდოეთის, სულ მოკლე ხანში,
 მრავალი ტომი...
 იქნებ სულ მალე იქნეს რევანში
 მსოფლიო ომის.
 პროტესტები და მუქარა ისმის:
 ვერ შევეთვისეთ!
 უნდა დაიმსხვრეს იმპერიალიზმი
 ბრიტანეთისა.
 მრავალი ლელვის იქნება ტემა
 ქვეყნის უფლება,
 სანამ ინდოეთს არ მიეცემა
 თავისუფლება.
 და ეს სჭირდება თვით ინგლისის ერს,
 მის გულს, მის გრძნობას,
 სიმშვიდის საკითხს,
 ინგლისს, ევროპას.

1930 წ.

ქლეული სენი

ეს იყო ცხრაას
პირველი წელი —
სუსხი ბნელ დროია.

ჰქონდა შავი ზღვის
ნიავი ნელი,
მსუბუქად ჰქონდა.

მიველ ერთ სახლთან,
სად როდოდენდრონს
გაეკრა ჩრდილი.

დავაკაკუნე ფრთხილად,
დროდადრო...
ფუჭედ: დუმილი...

ახლო,—დარაჯი
ბოსტნის და ბალის —
მუხა შვენოდა,

და მისი ფართო
ჩრდილი ვენახებს
გადაფენოდა.

ყველგან ჩატომდაც
 ეს შემფარავი
 მიყვარდა მუხა...

კვლავ კარს შევეხე,
 მაგრამ არავინ
 არ მიპასუხა.

ბოლოს, ვით იქნა,
 გაიღო კარი,
 და როს შეველი,

ძლივს გავარჩიე
 იქ ბინადარი
 ოთახის ბნელის.

საწოლს კვლავ ჩაწვა
 ცოცხლად ცხედარი,
 ძალზე ცახცახით,

მკრთალი, გამხდარი,
 მჭლე ნამეტარი,
 მინისფერ სახით.

ის მიურებდა
 იდუმალების
 ცქერაში ძგერით,

უზარმაზარი
 ზღვისფერ თვალების
 საოცარ მზერით.

შემდეგ ვინც ვიყავ
გუთხარ და თანაც
იმ ერთი დიდი

მიზნის სისრულეს
და ამოცანას
ჩამოვუთვლიდი.

„მოხარული ვარ
რომ მინახულე, —
სთქვა მაინც მშვიდად, —

დიდია, რაცა
გაქვს განხრახული
და ძნელი დიდად.

ჩემს გზას სხვაგვარი,
როგორც შენ ხედავ,
ბელი განაგებს.

მე მიგითითებ
უფრო გამბედავ
სხვა ამხანაგებს.

თავგანწირული,
გამოსადეგი
ხალხია ყველა!“

სნეული შექრთა:
აქ მას სასტიკი
აუტყდა ხველა...

ხველა ედება,
ხველამ უმატა,
ახრჩობს აშკარად.

„რა მემართება...
რა დამემართა...
ჰაერი ჩქარა!“

მივწვდი ფანჯარას.
მშვიდველოვანი,
ცვარში ნაბანი

ჰყვაოდა ბალში
სურნელოვანი
იასამანი.

სულ ახლო ბინდით,
ჰაეროვანი
ლაუვარდი ფრთებით

იღგა აჭარის
ბრგე. ფეროვანი,
მსუბუქი მთები.

და რა ავადმყოფს
ცოტა ეშველა,
ჩონჩხად ქცეული

მალალ ბალიშზე
ავწიე ნელა
მხრები სნეულის.

შეუნელდა რა
 მომსკდარი ზღურბლად
 მძაფრი სულხუთვა,

ფერი მიეცა
 და თავისუფლად
 დაიწყო სუნაქვა.

მივეცი წყალი.
 თვალებში ისევ
 აინთო კრთომა,

როგორც სიცოცხლის
 ოდნავ ღიმილზე
 შემდგარი ნდომა.

რაკი ჰაერი
 შეისუნთქა და
 დაცხრა ალმური,

მან საუბარი
 დაიწყო სადა
 და საამური,

სულ მასზე, რაზეც
 ღელავდა გრძნობა,
 ელვარე მზეზე,

რომლით ამაყობს
 კაცობრიობა,
 სულ იმ გმირებზე.

ის ახსენებდა
 აღამიანებს
 მრავალზე მრავალს,

გზებს რომ კაფავდნენ
 ნარ-ეკლიანებს,
 სხვის მიერ უვალს.

მხნედ გაჰყავდათ მათ
 დიდი გზა ძმობის
 სხივით ნათესი,

სიმართლისა და
 თანასწორობის
 გზა უდიდესი.

ის ოცნებობდა.
 ხანაზე, ოდეს
 ვით არდანდობას,

გზა არ ექნება
 კაცთ სიბოროტეს
 და ძალადობას,

ყველა იქნება
 ჯანსალი, ლალი,
 მოყვარე დღეთა.

და აინთება
 პლანეტა ბალი,
 ჩვენი პლანეტა.

ქაცთა გონება
გაატიალებს
ქაოსებს წამტანს,

დაიმორჩილებს
ყოფნის ბნელ ძალებს
და მიმოფანტავს.

ახსნის ბუნების
იდუმალებას,
ახლა უმტკიცესს,

გამოიცნობს მის
ბრუნვას ცვალებადს
და მრავალ მიზეზს.

ეს მისწრაფება,
მძლავრს და მთლიანებს
ახალი ქვეყნის

კვლავ ურყევ
ტიტან ადამიანებს
ამქვეყნად შეჰქმნის.

წარმოდგებოდნენ რა,
ღროთა მიერ,
როგორც სიმართლე,

ისინი იყვნენ
სინათლე, ძლიერ
დიდი სინათლე!

არასოდეს რომ
 არ დაბნელდება
 ძალა იმ მადლის,

იგი ანათებს,
 იგი ვრცელდება,
 შუქი სინათლის.

სხვანი მიჯაჭვულ
 პრომეტეს მსგავსად
 უჩევენი ტორტმანს,

სულის სიმტკიცით
 უდიადესით
 იტანდნენ კორტნას.

ამტანნი იყვნენ
 შხამის, სამსალის,
 ტანჯვის და კვნესის

სულ იმის გამო,
 რომ დამრბევ ძალის
 უბოროტესის

წინააღმდეგი
 ისმოდა მათი
 კიდითი კიდე

ხმამალალი და
 მტკიცე ლალადი,
 აზრთა სიდიდე.

ადამიანებს
 ამგვარ ღიღებით,
 სხივით ნათესით

კაცობრიობა
 მიჰყავდათ გზებით
 უდიადესით.

ადამიანებს
 ამნაირ ღროში
 არ აქვთ სარჩევი,

ჩვენი ღრო არის
 ყოველ სხვა ღროში
 გამოსარჩევი.

არა სანატრი
 თავშესაფარი
 ერთი იმ გმირის,

ყინვა და სუსხი,
 თოვლი და ქარი
 იყო ციმბირის.

მას არ ინდობდა,—
 ეჭვს გარეშეა,
 ქვეყნის დარაჯი.

ჩუმად ის ახლა
 ჩვენს მხარეშია
 აქ, აქარაში.

რომ მათი არა
ძალა და ლონე,
მრეკავი ზარი,

ენერგია და
ნათელი გონი
რომ მათი არა,

ვინ იცის კიდევ,
ვინ იცის კიდევ
რამდენი ხანი

იბატონებდნენ
ძილი, სიმშვილე
და ყვავ-ყორანი.

გმირებს გაჟყვება
დროის ეს ჯარა,
ურიცხვს და ულევს,

ხვალ მოახდენენ
რომ არ მომხდარა
იმ სასწაულებს,

გაიმარჯვებენ
ისინი, რაღან
ხილი იდება.

დაუძლეველი
მოლვივის მათგან
ჭეშმარიტება.

მძიმე იქნება
ეს გამარჯვება;
როგორც შეჰვერის,

ბევრი შხამ-გესლი
დაიხარჯება
ფარული მტერის.

ახალი ცეცხლი,
რომელიც მოდის,
ხალხი რომ ელის,

დასაწყისია
ამ ბრძოლა-შფოთის
აურაცხელის.

მტერი კარგა ხნით
ნიღაბს შეირჩენს:
მას ეხერხება.

იბრძოლებს, მაგრამ
თავს ვერ გადირჩენს,
გადიჩეხება.

დღეებო, ასეთ
გზას იახელით,
ვით მიიჩქარით!

ახლა მე ვცხოვრობ
სხვისი სახელით
და სხვისი გვარით.

ახლა მე ვცხოვრობ
 სახელით სხვისით —
 მძიმე ხვედრია...

ცხოვრების გზაზე
 მრავალ დევიზით
 მე შემხვედრია

ჩვენს ქვეყანაში
 მოღვაწე ბევრი,
 მავალი მწყობრად,

თავი რომ მოაქვს
 მრავალწამებულ
 ხალხის მეგობრად.

მე ვიცი მათი
 სახე ნამდვილი
 და ამის გამო

არ იყო ეს გზა
 ჩემთვის ადვილი
 და სასიამო.

მრავალი ეჭვა,
 მრავალი რყევა,
 მრავალი მახე

მე განვიცადე,
 სანამდე ძლევა
 არ დავინახე.

მე სიღიადე
რჩეულ მიზნისთვის
ვით არ მახსოვდეს.

არ გაღმიხრია
ოი, ამ გზისთვის
მე არასოდეს...

იგი დაღუშდა.
დალლილი თვალი
ოდნავ მიხუჭა.

მკრთალი სინათლის
გაბრწყინდა ალი
განათდა ქუჩა.

და მე მანამდე
ასე მალულით,
დაგუბებულით

ალტაცებითა
და სიბრალულით
ამევსო გული.

„სიცოცხლე მინდა...
მაგრამ რად მინდა
განაწვალები!“ —

სთქვა მან სუსტი ხმით,
და დაიბინდა
ისევ თვალები.

„სიცოცხლე შინდა,
 რაღან მგონია,
 ვარ მისი ჩრდილი,

მაგრამ ჯერ კიდევ
 მე არ მქონია
 იგი ნამდვილი...

აი, დლეები
 ჩემი დათველილი...
 ის საბოლოოდ

ანარეკლია
 ყოფნის ნამდვილის...
 მხოლოდ და მხოლოდ.

ცუდია ჩემთვის
 ეს გაზაფხული
 პირმშვენიერი,

ეს შიმშილია
 გამოსახული
 და ქარხნის მტვერი.

ო, შემიძლია
 კიდევ რამდენი!
 ლტოლვა დიდია —

ვაჭეთო საქმე...
 მიდიან დლენი,
 დლენი მიდიან...

სავსეა ჩემი
 გული და ტვინი
 ხალისით მწველით,

მისწრაფებითა
 და ბრძოლის ეინით
 დაულეველით.

აჰ, შეიძლება
 განა სიკვდილი...
 თავგადასავლის

შეწყვეტა, როცა
 გზა არის ხსნილი
 კარგი მომავლის?

არა, მე წასვლის
 არა ვარ მდომი,
 ცა გამიბრწყინდა,

არ გაღმიხდია
 არც ერთი ომი,
 როგორც მე მინდა!

ახლოს ცისკარი
 ყველა მშრომელის
 არის საამო,

მე კი სამარის
 კარი მომელის
 სამარადუამო“...

„არა!— შევსძახე
მაშინ მე სნეულს—
ყოფნა გაქვს ვრცელი.



დიდხანს იცოცხლებ,
უნდა იცოცხლო,
იყო დღეგრძელი.

შეხედე, როგორ
შრიალებს თხემი,
ბზებით ნორჩებით,

მხარე ნამდვილი
არის ედემი.
შენ აქ მორჩები!

ამ ლაქვარდ კუთხის
ცეცხლი, მხე, წყალი
სივრცედ, ჰაერად

შემმატებია
სისხლის და ძალის
ყოველნაირად.

აქ უნდა გვქონდეს
გული ჯანმრთელი,
სული სათუთი,

რომ გაქრეს სენთა
კორიანტელი,
მკაცრი, ჯიუტი.

შენ გაიხედავ
და აქ კვლავ ნახავ,
მაგარი კუნთით

კაცს ასი წელი
რომ გადულახავს,
ვით ასი წუთი.

დგანან ხეები
მრავალწლოვანნი
ტოტების განით

იგივ მხნე, იგივ
გულით ხმოვანნი,
სავსენი ჯანით.“

„— ვნახოთ... ახლა კი
მასზე ვიმსჯელოთ,
სხვაზე უარესს

ვინაც ბედშია...
უნდა ვუშველოთ!
ასე არ არის?

...გაივლი კონცხთან,
მიზნად ისახავ
პატარა ფაცხას.

ფაცხის წინ ბალჩას
შენ დაინახავ,
ლამაზს და საწყალს.

იგი ეკუთვნის
ჩვენს კაცს. პპოეზ მას.
ეტყვი ჩემს სახელს.

ყველა მიგიღებს,
ვით საკუთარ ძმას
და არ გაგამხელს.

სტუმართმოყვარე
იმ კაცთან სახლში
ახლა ფარულად

ცხოვრობს მეორე.
ყველაფერს მაშინ
აუხსნი სრულად.

თავგანწირული,
გამოსადეგი
იქ არის არე

და რაკი ასეთ
გზას დაადექი,
გასწი, იარე!

მაგრამ... ეს რაა?!..
როგორ დაბინდდა...
ო, გულის მატლო!..

სული მეხუთვის...
სარკმელთან მინდა...
მიმწიე... გმადლობ...“

...იმ გაზაფხულის
 მძიმე და შავი
 ფანჯრიდან არე,

ჰაერიც იყო
 ცივი, უძრავი,
 იყო მღუმარე.

ვიფიქრე: სუნთქვა
 ბალახ-მცენარის
 სთვლემს უმოძრაო,

ნუთუ მშვენიერ
 მთების ჰაერი
 არის ამაო?

ხუთვაა. თითქო
 ცხოვრობ დროს იქით,
 უხილავ შუქით

დრო მიდის ნელა
 და სისასტიკით,
 მაინც მსუბუქად.

უხილავ არსოთ
 მილიონები
 ძარღვების კონვით

აღრჩობს კაცი... ვერას
 ხდება გონებით
 და ვერცა ლონით.

და იმ არმიის
 მირიალები
 უსივრცოდ გასტანს,

დარაჯობს ცოცხლებს
 და ყურადღებით,
 გულთან, მაჯასთან,

კართან, სახლებში,
 გარეუბნებში,
 თრთიან კრებულნი,

მდინარის პირად
 ჩარჩენილ ფშნებში
 ჩასაფრებულნი.

მოაქვთ სასტიკი
 მათ იერიში,
 ყრუა ვედრება.

მათ ვერვინ სჯობნის
 სიძლიერებში,
 გზა იცხედრება.

ლამის სიჩუმებ
 მოიცვას გული,
 შესწყვიტოს ცემა.

მე ვდგავარ მწარედ
 ალელვებული:
 თავზარდაცემა!..

მწარე დუმილი...
ისევ სულხუთვა,
საათმა დაჰკრა.

ყოფნამ აქ თითქო
შესწყვიტა ბეჭტვა...
სანთელიც ჩაჰქრა.

სიჩუმედ მყოფი
ამაოება
უთუოდ ამ დროს

გრძნობდა სიკვდილის
მოახლოებას
მძლავრს და არ დამნდობს.

• • •
მას შემდეგ დიდი
ხანი გავიდა,
მშფოთვარე, ძნელი,

იმ საშინელი
სანახავიდან
რა დარჩა ძველი?

არა-რა! შემდეგ,
ოცი წლის მერე,
კვლავ ვდგავარ სახლთან.

შემატებია
სიმშეენიერე:
იგი განახლდა!

ახლა დარაჯი
 ბოსტნის და ბაღის—
 სხვაგვარად შვენის.

მუხა.—ამაყი
 სახე სილალის
 და ძალის ჩვენის.

ორი პალმა
 იქვე დარგული,
 ორსავე მხარეს.

ფენს ყვავილები
 ამოქარგული
 სურნელს მლელვარეს.

თითო ყვავილი
 თითქო გულია
 და მისი ქნარი.

შეხედეთ, რარიგ
 დიდებულია
 აქ ბინადარი!

შეველი. იგი
 ვიცანი. ველარ—
 სწორედ ვეფხია.

„გაოცებული—
 სთქვა—რადა დგეხარ?“
 გადამეხვია,

და შოგონებათ
 დაიძრა ლავა,—
 თუ ესოდენი

დრომ, ენერგიაშ
 გაანიავა
 მრავალი სენი.

მლელვარე გულო,
 ჩვენ არ ვართ მშვიდად—
 ვგრძნობთ სხვა ურიამულს.

ცხოვრება ჩვენი
 გზადა და ხიდად
 ედება მამულს.

დრომ უმართლობას
 ახადა ფარდა,
 მისწვდა ტიალებს.

და დროშა იგი,
 ჩვენ რომ გვიყვარდა,
 მალლა ფრიალებს.

მისით სიმღერა
 ქვეყნად იღვრება
 საგაზაფხულო.

და არასოდეს
 არ დაიხრება
 ის დროშა, გულო!

ახლა სიკვდილის
არ არის ხანი,
არ არის ასე?

გარს სიცოცხლე დუღს.
მე ის ვიცანი
ბევრ გმირულ ხმაზე.

ჩვენ კვლავ ვიძრძოლებთ,
დიდი ლელოა
ძლეული სენი!

უნდა ვიცოცხლოთ.
სასახელოა
სამშობლო ჩვენი!

1915 წ.

III

ა მ ბ ა ვ ი მ რ თ ი
 ღ ა მ ი ს ა

„კარგი! როგორც
 შენ გენებოს...
 აგიხირდე —
 რას გავიტან...
 კი, მარა
 ერთ გახსენებას
 ვერ ვივიწყებ
 იმ თავილან:
 არ სომობს აზრი
 და გონება...
 ასეთია მოგონება.

მაგრამ განა
 თხობის დროა?
 ამ სუფრას რაც
 ასხივოსნებს,
 რაც რამ საუკეთესოა,
 ჯერ მიართვით
 მანდილოსნებს;
 უკეთესზე უკეთესი —
 ასეთია ჩენი წესი!

მსურს ქება ვთქვა
 მეგობარის...
 — აბა, გისმენთ! —
 ამბობს ყველა.
 — ის რა მოგონება არის... —
 აქ მოხუცმა ჩაახველა.
 არ იქნება ასე, ბაბა!
 მოგვიყევი...
 გისმენთ, აბა!

ქალებმაც ხმა
 ალიმალლეს
 მარმარილოს
 ყელთა რხევით,
 — მოგონება,
 ჩვენ არ დაგვლლის;
 აბა, გისმენთ,
 მოგვიყევით...
 შვება შეგხვდა
 თუ ხიფათი —
 დალაგებით!
 მოჰყევ, რატი!

ამბის მთქმელმა
 ქალთა ლია
 თვალებს გადახედა
 მწველად:
 — „მოშაირე არა ჰქვია,
 ვერას იტყვის
 ვინცა გრძელად“.

სანუკვარი
 ესე სიტყვა —
 რუსთაველის მიერ
 ითქვა.

ამიტომაც
 მომიტევეთ,
 თუ ამბავი
 მექნეს გრძელი.“
 ქალებმა სთქვეს
 ყელთა რხევით:
 — მაშინ არ გვსურს
 თხრობა თქვენი!
 სად თქვენი თქმა
 თუნდაც ძველი
 და სად შოთა
 რუსთაველი!“.

უცებ დაუმატეს:
 — უი!
 მაგიდის ქვეშ
 მურა დადის,
 — ის ძალლია
 ზოგის ჭკუის!
 — გადი, მურა,
 იქით გადი! —
 გააგდეს რა
 გარეთ მურა,
 რატი ამბავს
 მიეშურა.

მან დაიწყო:
 „ძალლი გვყავდა
 შენაერთში,
 ერქვა მურა.
 წავიდოდი —
 თან დამყავდა,
 მართლაც კარგად
 გვემსახურა.

დასაზვერად,
 დასაცავად
 ის ცხოვრობდა
 ჩვენთან ერთად,
 შენაერთში,
 რაღაცგვარად,
 მე ვუყვარდი
 სხვებზე მეტად“.
 ქალებმა სთქვეს:
 „მოიგონე!
 გული გულს ცნობს,
 ლონეს — ლონე“!

„კარგი! — იწყებს
 ამბის მთქმელი
 მარჯვე და ომ-
 გადახდილი —
 დამავალეს
 საქმე ძნელი,
 მითხრეს: კაცი ხარო
 ფრთხილი.

ქებაშ მეგობრების მიერ
 გამახარა კიდეც ძლიერ!

მართლაც,
 გონიერი კაცის
 გამივარდა რა
 სახელი,
 ვიუარო? ეს ღიაცის ·
 გზაა, არა გასამხელი.
 გზა სუფთაა თუ რუხია —
 უარი რა პასუხია!

ამნაირ ღროს
 ნებისყოფა
 სიმაღლეა,
 სათუთიდ —
 მითხრეს:
 აი, იქ სახლია
 და იმ სახლში საბუთია.
 უნდა გადასინჯო ყუთი,
 მოგვიტანო ის საბუთი“

ვუთხარ: „მე ვერ
 შემატერხებს
 გზად წმინდა და
 არაწმინდა,
 სახლში შესულას
 მოვახერხებ...
 გამოსვლასაც,
 როგორც მინდა“.
 ორ ვიფიქრე:

ეს მიცდია...
 იმ სახლში ხომ
 ფაშისტია!

სამწუხაროდ,
 ამ ამბავში
 ერთისა მაქვს
 ახლაც დარდი.
 სახლში შეველ,
 ძმათა კავშირს
 მოვწყდი: ვაი,
 თუ ჩავვარდი!
 მხოლოდ იმის
 ფიქრს ვუნდები —
 ძველ გზით ვეღარ
 დავბრუნდები!

რა გადამხდა
 მე იმ ლამეს!
 სარკმლით მწარედ
 გავხედავდი...
 ვიცი, რაც მელოდა,
 რამეს თუ სწრაფად
 არ გავბედავდი!
 გარს კი ოთხი კედელია.
 ლამეც განუპვრეტელია.

სახლის კართან კი
 დარაჯი
 ორი, ჩუმი
 და გრძნეული,

ვიდოდა რუს მაზარაში
 ჩრდილებივით გახვეული...
 ერთის სახის,
 ერთის ბედის,
 ვერ მცნობელნი
 ერთმანეთის.

ერთს რამ ადგილს
 რომ სწვდებოდნენ,
 წამს პირისპირ
 შესდგებოდნენ,
 უცებ განიყრებოდნენ და
 კვლავ ერთმანეთს შეხვდებოდნენ...
 გავხალისდი მეც სწორებით,
 ამ შეხვედრა-განშორებით.

აი, ეს დრო
 განშორების
 მათის ჩემთვის
 იყო გეზი,
 ან სიკვდილის,
 ან ცხოვრების
 ამოცანა უმთავრესი.
 სსნისთვის თავი
 ვინ დაზოგა?
 მაგრამ როგორ?
 როგორ? როგორ?

ამ ფიქრში ვარ.
 გნელა. ხვეულს
 წავკარ უცებ ფეხი რასმეს.

ხელთ ავიღე.
 მიმოხვეულს
 და დახლართულს
 ვგრძნობ მე ბაწრებს.
 აი ბედი, აი ბედი!
 შთამესახა გულს იმედი.

გადავწყვიტე
 ჩასვლა ბაწრით,
 ვთქვი: ერთია
 აქ მუქარა!
 გავეკვრები
 კედელს გასწვრივ,
 შემდეგ მინდვრით
 გაესწევ ჩქარა!
 დარაჯმა კი იდარაჯოს!
 თოკი მივამაგრე ჩარჩოს.

ლამე იყო,
 თვალთან თითი
 არა ჩანდა,
 ჰემავდა გრძნებას,
 მხოლოდ იმ ერთ
 წამს ვუცდიდი
 დარაჯების
 განშორებას.
 ის დროც დადგა.
 ძირს ვეშვები.
 ვთქვი:
 ბაწარს არ მოვეშვები!

ნუ იტყვით —
 ის საფიცარი
 წვიმისაგან
 მთლად დამბალი,
 ბაშრის დამჟერი ფიცარი
 ყოფილიყო სულ დამპალი.
 ვთქვი: ისეა
 ახლა საქმე,
 რომ გავთავდე
 უნდა აქვე.

სიმძიმეს ვერ
 უძლო ხემა
 და თავზარი
 აქ დამეცა,
 ნასკვიც გაწყდა.
 ძირს ვეცემი —
 ახლა კი, გამიშყრა ზეცა!
 ცით წამოველ...
 ვთქვი, რომ ვკვდები,
 აქ კი აბა
 რას გახდები?

გამახსენდა
 დედა, ცოლი,
 შვილები და კერა დიდი.
 ცილან გამალებით მქროლი
 ამ წუთს რას არ განვიცდიდი!
 იმ სიმალლით ყირამალა
 მტერთან მიხვალ
 ხმალდახმალა?

შეიცხადეს აქ ქალებმა.
 „ვაი, შენი ცოდვა, რატი,
 დაგიფარეს რა ძალებმა? —
 ო, ბედი გაქვს იშვიათი! —
 შემდეგ უცებ
 იქ დავეცი,
 სად არ ჩანდა
 ორი მხეცი.

ასე მოხდა:
 მეც დავეცი
 ფხვიერ მიწას,
 სასიამოს.
 და ხმა აღარ
 გადაეცა
 იმ არეს და
 იმ მიღამოს.
 გამალებით
 სცემდა მკერდი,
 წელს უდრიდა
 წუთი ერთი!

ალბათ, წინდლით
 ორმოს რამეს
 თხრილნენ აქ და
 ნაწვიმარი
 იდგა, და შიგ
 მოვხვდი ლამის,
 ამნაირის,
 მეომარი.

მიწა თხელი და ფხვიერი
იყო გრილი, ლმობიერი.



გუშაგებმა
თითქო რაღაც
კი შეიგრძნეს
ძვრა რამ მკრთალი.
მაგრამ რასმეს
დაინახავს
ამ წყვდიადში
კაცის თვალი?
ყელამდეა
მიწა ლბილი,
კვლავ სიჩუმე,
კვლავ დუმილი!

მოტრიალდნენ,
გზას დაადგნენ,
დაჩვეულნი
ისევ შეხვდნენ.
ადგილიდან
იმ ერთ ადგილს
გაუთანაბრდნენ და
შესდგნენ.
„გაიგონე შენ რაიმე?
აქ დაეცა რაღაც მძიმე!“

„სიბნელეა
ეჰ, არა ლირს!
აწ რად გვინდა
ძებნა ბევრი.

ჩამოვარდა,
ალბათ, აქ, ძირს,
აგური, სხვა
არაფერი!
თითქმ რაღაც უხერხულად
ჩამოვარდა, მოგვეყურა.

რამ ფიცარი
სულიერად
მოგეჩვენა,
ალბათ, შენცა.
წადი შენთვის,
დაიძარი,
იარე, რამ
გაგაცეცა?
ამას წინათ
ქვა დაეცა,
შენ მაშინაც
ელდა გეცა“.

კვლავ გაშორდნენ
ერთურთს სვლაში
და განაგრძეს
გზა ჩვეული,
მიმოდიან მაზარაში
უზრუნველად გახვეულა.
მე კი თხრილში
ვარ ჩაფლული
და ვისმენ სულგანაბული.

ყველაფერს ხომ
ვერ მოვყვები?

შეკავებულ
 სუნთქვას ვგუბავ.
 ფიქრი:
 ერთ ხმის გამოღებით
 წუთი, წუთიც
 კი, დამლუპავს.
 თავდალწევა მიზნად მიჩნდეს,
 რადაც უნდა
 არ დამიჯდეს!

უნდა მივატოვო თხრილი...
 ფრთხილად, ფრთხილად
 შეუმჩნევლად,
 ამოვედი
 როგორც ჩრდილი,
 გავეკარი კედლებს ხელად!
 თავდალწევა
 მიზნად მიჩნდეს,
 რადაც უნდა
 არ დამიჯდეს!

ფრთხილად!
 წამი მიჩანს წლებად.
 ბნელა:
 კოშკია ოუ სახლი?
 ვნახოთ —
 მხიარული ყეფით,
 უცებ მუხლო მომვარდა ძალლი!
 გავშრი!
 აქ რამ მოაშურა?
 აქ რამ მოიყვანა მურა?

მურა, მურა!
 რა დროს მოჰყვა!
 ან და რისთვის
 გაისარჯა?
 ალბათ, ის ჩემს
 კვალს გამოჰყვა
 მინდვრიდან და
 აქვე დარჩა!
 თხრილს მოვშორდი:
 არ იქნება —
 არ სმენოდათ
 ძალლის ყეფა.

დრო არ იყო
 მასზე ფიქრის.
 იქვე ხესთან
 ვნახე ცხენი.
 ზე მოვახტი.
 მიჰქოდის, მიჰქოდის
 ჩემი უფრთო შავარდენი!
 წყვდიადი კი
 შუბლს შეიკვრის.
 შავარდენი ჩემი მიჰქოდის!

ვერ გაარჩევ
 ღამის სახეს,
 იგი ყრუა
 და კვიმატი,
 (ქალებმა კვლავ
 დაიძახეს:
 „ვაი შენი
 ცოდვა რატი!“)

მიჰქოის
 შავარდენი სივრცის.
 სად? არც მე და
 არც მან იცის!

მაგრამ უცებ ატყდა სროლა,
 ის დარაჯიც
 მომდევს ორი.
 სხვაა ჩემი მერნის ქროლა,
 მიჰქოის, როგორც მეტეორი —
 ინათა. ცა
 იხსნის რიდეს.
 მივაღწიე, ვფიქრობ, კიდეც!

მე მივქრივარ
 ჰა, ილანდა!
 მიწა გაეხვია ქარში.
 რა რკინისგზის
 ლიანდაგსაც მივაღწიე,
 ვთქვი, გადავრჩი!
 მაგრამ ბედმა არ გამიჭრა!
 გზა ორთქლმავლით
 გადამიჭრა!

აუტანლად მიდის ნელი
 მატარებლის
 ძვრა-ზოზინი,
 მიგორებით უდარდელით
 და კვამლების
 ცამდე ზვინით.
 და მიმავალს ულმობელად
 მატარებელს ვხედავ მკელელად!

ჩამოვხტი.

რაც უნდა გახდეს,
 მთავარია აქ სისწორე.
 მატარებელს
 მსურს შევახტე...
 ო, ახლავე,
 თორემ... თორემ...
 საცაა მკვდარს
 გადმომდებენ:
 მე მომდევენ,
 მე მომდევენ!

აქ სიჩქარით
 მეტისმეტით
 უცებ წამოვედე
 მავთულს,
 მთელის ტანით,
 მთლად მოსხლეტით,
 გადავეგე
 რკინის ხლართებს.
 წამოდგომას
 ვცდილობ, მიმძიმს.
 ორთქლმავლისას
 ვჭვრეტ შორს ციმციმს.

ორთქლმავალიც
 მიფარდა თვალს,
 ვთქვი: გათავდა!
 ყოფნა წყდება!
 რაც რომ გულში
 მინთებდა ალს

რაც არასდროს
 მავიწყდება —,
 უცებ ძალლი
 აწემუტუნდა...
 მურა! მას აქ
 რაღა უნდა?!

დაცემისას
 ვგრძნობდი ტკივილს,
 ვერ ვატანდი
 მკლავებს ძალას,
 ვცნობდი მატარებლის კივილს,
 ვგრძნობდი მის უაზროდ ჩავლას.
 მკლავს ტკივილი
 და მკლავს დალლა...
 მტერს მეტი რა
 უნდა ახლა?

ბორბლებმა გზა მოირიბე
 გაიარეს არამცირე.
 ცოტა ლონეც მოვიკრიბე
 და გაქცევა დავაპირე
 თავის დროზე,
 როს უეცრად
 საქმე შეიცვალა
 მკვეთრად.

როს უეცრად
 მწვდა მდევართა
 მაგარი და
 მტკიცე ხელი,

ტოვემზადე,
 გამემართა
 ბრძოლა მკაცრი
 და ფიცხელი.
 უნდა გითხრათ,
 ამ ჭიდილში
 მე არ მქონდა
 ორის შიში.

უცებ მურა
 (თვის მეგობრის
 ეგრძნო წანი
 ეს წყეული)
 ხან ერთსა სწევს,
 ხან მეორეს,
 გააფთრების ხმად ქცეული.
 მაგიერად მასაც ქუსლებს
 სცემენ: ვთქვი, თუ
 როგორ უძლებს?

ძალლი აგლეჯს
 ხორცსა თუ ძვლებს,
 სცემენ, იგი იქეუება.
 და ყველაფერს იგი უძლებს
 და არასგზით არ ეშვება.
 მოდი, მურა,
 მოდი, მოდი,
 რას გრძნობდი, როს
 ვსუსტდებოდი?

იარაღს არ
 სცდიდნენ ჯერა,

გზა იმგვარად
 დაებურდათ;
 რა საქმეა
 მკვდრის დაჭერა?
 ხელთ ჩაგდება
 ცოცხლად სურდათ.
 ორთავესი,
 ანაგებად,
 შევძელ განიარალება!

და გაგრძელდა
 ხელჩართული
 ბრძოლა იმ რეინისგზის კიდეს.
 ის გამწვავდა და გართულდა
 და გათენდა მალე კიდეც.
 მაგრამ მთლად
 წამერთო ძალა.
 ვთქვი:
 სიცოცხლე დაიცალა.

დამელია
 სულ მთლად ღონე,
 რაც მებადა, რაც მშონდა.
 კვლავ ვთქვი: რომ მტერს
 არ ვემონე,
 სიკვდილი რომ ამცდენოდა!
 და რა მოხდა:
 ძამის ძალა
 უცებ ცისკრით შეიცვალა!

და რა მოხდა:
 უცებ ჩქართა
 განათებათ ლივლივისა,
 თითქო თვალშინ აღიმართა
 მზე სიცოცხლის
 და დილისა!
 თანამოძმე დამიბრუნდა.
 ვთქვი:
 გულს მეტი რალა უნდა?
 გაჩნდა ჩვენი
 ჯარისკაცი
 არმიელი ამ ჭიდილში.
 ორის კი არ,
 თუნდაც ასის
 რომ არ ჰქონდა გულში შიში.
 მსწრაფლ გავგაწრეთ,
 ვინაც სამტროს
 ედგა საქმეს.
 მაგრამ ამ დროს
 ფაშისტების
 სხვა ახალი
 მეომრები
 დადგნენ ბეჭით.
 ყოველ მხრიდან
 შეჰქრეს ალყა
 და მოგვესმა ხმა:
 შესდეჭით!
 ჩვენ ვითიქრეთ:
 აი, ზვავი—
 უამრავი, უთვალავი.

კვლავ სჭრაფი ხმა.
 ფაშისტების
 ზარდაცემა იყო:
 დადექ!
 შევხედეთ ჩვენს
 ჯარისკაცებს
 მოსულთ მტერთა
 წინააღმდეგ!
 ჩვენ შევსძახეთ
 მოძმეთ: ვაშა!
 და დიდებამ
 ირიჟრაჟა!

და გულთა იმ შენაერთმა
 პპოვა გეზი და მიზანი.
 „დადექით“ რომ
 სჭექა ერთმა,
 მე ვიცანი ის,
 ვიცანი!
 და თქვენც იცნობთ
 მას მრავალგზის.
 იგი აქ ზის, ჩვენთანა ზის!

და თქვენც იცნობთ
 მას მრავალგზის,
 მისი სახელია უჩა.
 იგი აქ ზის, ჩვენთანა ზის,
 ის ბევრ ხიფათს გადაურჩა.
 იდლეგრძელე, ჩვენო უჩა,
 ჩვენო სასახელო უჩა!

გაიმარჯვა, გაიტანა
 ბევრი საომარი ლელო.
 გეყავდეს ბევრი ამისთანა!
 შევსვათ უჩას სადლეგრძელო!
 იდლეგრძელე, ჩვენო უჩა,
 ჩვენო სასახელო უჩა!

გადაჰკარი, გადაჰკარი
 ლვინო ახალი თუ ძველი,
 მეც ხომ მსმელი
 ვარ, მაგარი,
 უჩას კი ვერ გავუძელი.
 იდლეგრძელე, ჩვენო უჩა,
 ჩვენო სასახელო უჩა!

მოდი,
 მოგეხვიო, ძმაო,
 ჩემო ძმაო, ჩემო ტოლო.
 მაპატიე თქმა ამაო,
 ჩვენებური, უთავბოლო!
 იდლეგრძელე, ჩვენო უჩა,
 ჩვენო სასახელო უჩა!

მაშინ მე შენ გადმოგეცი
 ის საბუთი, თან რომ მქონდა:
 საბუთები მღელვარე დღის!

გაგახსენდა?
 მოგაგონდა?
 ბევრჯერ გვაცინებდა ჩვენა,
 ჩემი იმ დღის გადარჩენა!

იდლეგრძელე, ჩვენო უჩა,
 ჩვენო სასახელო უჩა!

IV

სიცათლის შვავილი

ძველი ჭადრის ქვეშ რომ
 სუფრა გაიშალა,
 ყველა, ყველა სუფრის
 ხსოვნა წაიშალა!

მეტის სიფაქიზით,
 გმირულ სინაზეთი,
 უფრო ლამაზდება,
 მლერის აფხაზეთი.

ჭადრის ჩვენ ხომ ისეც
 ვიცით ხნოვანება;
 აფხაზს ძველებური
 შვენის ხმოვანება.

მას კი უსრულდება
 დღეს ასოცი წელი.
 მართლაც უჩვეულო
 • გვყავს დღეს მასპინძელი.

და, რაც მთავარია,
 აქ ზის ქალიშვილი,
 ხნიერ მასპინძელის
 შვილის-შვილის-შვილი.

იტყვი: მზის შუქია,
 ოხრა დაისრულთა!
 წელი მეცხრამეტე
 მას დღეს შეუსრულდა.

„ძვირფასო სტუმრებო,
 არ დამრჩეთ ფხიზელი“—
 გულით მხიარულით
 იტყვის მასპინძელი.

„ძვირფასო სტუმრებო,
 მიირთვით, გვიშველეთ“—
 მსგავსი მზისა დარის
 დასძენს ქალიშვილი.

„ძვირფასო სტუმრებო,
 გჭვრეტდეთ პირმცინარეს,
 მიირთვით... მაგრამ ეს...
 მაგრამ ეს... ვინ არის?“

უეცრად მოვიდა
 კაცი ხანდაზჲული,
 მხარზე ვეფხვის ტყავი
 ჰქონდა გადაცმული.

თავზე თშა დაჰყროდა
 თოვლის სითეთრეთა,
 არაფერს ამბობდა,
 არავის ჰყვედრიდა.

შეხედეს: კაცია,
 მოხუცი კაცია.

დღევანდელს წარსულით
 გამოუტაცია!

ქალიშვილს თვალებით
 ეპირდაპირება—
 ამბობს: ავასრულე,
 ჩემი დაპირება!

და ვარდი, რომელსაც
 „სინათლე“ უწოდა,
 ქალიშვილს მღელვარე
 ხელით გაუწოდა.

კვლავ სთქვა: „მიპოვნია,
 თუმცა გავნაპირდი...
 აი, ის ყვავილი,
 გუშინ რომ დაგპირდი!“

გუშინო?—ვერ იგებს
 ასეთ მისალმებას;
 გუშინ ხომ ზღვა იყო
 და ჩრდილი პალმების...

გუშინ?.. მაგრამ გუშინ...
 შემკრთალმა ოცნებით,
 ბოლოს ქალიშვილმა
 ძლივს სთქვა გაოცებით:

„გუშინ ჩვენს მინდორზე
 მთელი ამალებით,
 დაფნას ახლად ჩაყრილს
 ვრწყავდით გამალებით.

გუშინ ფორთოხალსაც
 ვკრეფდი ჩემს ტოლებთან,
 ველი მთლად ავკრიფეთ.
 ვაქციეთ ტონებად“.

გაოცდა სულყველა,
 ვერავინ ხვდებოდა—
 მოხუცი აგრე რად
 მოიხედებოდა.

არა თუ გუშინ აქ,
 ჰქოთხეთ უუნდ ჭადრის ხავსს,
 ეს კაცი თვალით აქ
 არავის უნახავს.

მოხუციც ვერმცნობი
 თვალით იჩრდილება,
 სახეზე დაეტყო
 უკმაყოფილება.

და ასე დაიწყო:
 „ხსოვნას რა დაჩრდილავს,
 მეგი! სწორედ გუშინ,
 სწორედ ამ აღგილას,

და სწორედ ამავ დროს,
 მაინცა და მაინც
 ამ ჭადრის მახლობლად
 ჩვენ შევხვდით ერთმანეთს!

შენ, მიხვდი?—უეცრად
 მკერდს ლილი აგიშყდა.

ნუთუ ეს არ გახსოვს?
 ნუთუ დაგავიწყდა?

პოვნა ყვავილისა —
 „სინათლის მონთება“,
 შენ რომ დამავალე,
 რად არ გაგონდება?

გითხარ: ხვალვე-მეთქი.
 შუბლი გაიხსენი...
 ნუთუ დაგავიწყდა?
 აბა გაიხსენე!

მეგი! სწორედ გუშინ,
 სწორედ ამ ადგილას...
 როგორ ვერ იხსენებ
 ასეთ სინამდვილეს?“

თქვა და დაუინებით
 მეგის მიაჩერდა.
 ქალი იმ უცნობის
 სიტყვებით გაშტერდა.

მან გაიმეორა:
 „გუშინ მე და ცირა
 ბალში დაფნას ვკრეფდით,
 სხვა არა ვიცი-რა!“

ყველამ იგრძნო რაღაც
 აზრი ჩაკეტილი,
 ყველა ფიქრში იყო
 და ხმაგაქმენდილი.

მაშინ ფეხზე ადგა
 თვითონ მასპინძელი:
 თამსირ! ძლივს შეგიცნე...
 მომეც შენი ხელი!

თამსირ! სად ატარე
 შენ ეს ასი წელი?
 თამსირ! ვერ შემიცან?
 მე ვარ, მასპინძელი!

სტუმრებო, ამას გთხოვთ,
 უური მომაპყარით,
 გითხრათ სინამდვილე
 და არა ზღაპარი.

ეს არც ოცნებაა,
 არც რამ ციურია,
 ჩვეულებრივია,
 ამჯვეუნიურია!

*

„ტყეებს მოსდებოდა
 ფერი ოქრო-ქარვის,
 იდგა შემოდგომა
 რვაასორმოცდა რეის.

რვაას ორმოცდა რვა!
 ბევრს ის აღარ ახსოვს,
 ამბავს რა გამოლევს
 ჭარსულს გადანაქსოვს!

ერთ დღეს ხმაურობდა
 ეზო განიერი,
 ჰქუსდა ძველებური
 მრავალეამიერი.

კარგი ლხინი გვქონდა—
 სუფრას პატივსაცემს,
 აქეთ— მანდილოსნებს,
 იქით— მამაკაცებს.

ქალნი ცალკე ისხდნენ—
 ასე იყო წესი —
 რაც კი გაჩნდებოდა
 სუფრად უკეთესი,

რასაც უმჯობესსა
 რასმეს აართმევდნენ,
 ყოვლის უპირველეს,
 ქალებს მიართმევდნენ.

ლვინო კი... ოჯალეშს
 სახელს ვინ წაართმევს?
 ამას უვიცობად
 ნურვინ ჩამომართმევს.

ზოგს ძველი ერჩივნა,
 ზოგს კიდევ — ახალი,
 ზოგს — ის ოჯალეში
 და ზოგს — გორმალალი.

მახსოვეს: სუფრის ბოლოს
 იჯდა ახალგაზრდა,

უჩნდა მორიდება
 უფროსთა და ქალთა.

ლვინის არა სვამდა,
 ფიქრებს მისცემოდა,
 მაგრამ თამადის თვალს
 რამე ასცდებოდა?

„კმარა, თამსირ, კმარა,
 ეს სულ ზღაპარია,
 გამჩნევ, გულისცემა
 შენი სხვაგვარია!

შენ სად გადამალე
 ყანწი, მასპინძელო?
 დე, იმ ახალგაზრდამ
 შესვას სადლეგრძელო!

შენს ჭინ გარინებულ
 ქალის მშვენიერის
 შესვი სადლეგრძელო,
 ხედავ, ვით გიცქერის?“

ადგა ახალგაზრდა
 ფიქრთა მოძალებით,
 ყანწი ჩამოართვა
 დიდის მოკრძალებით.

თქვა: „ცერიან დილისას,
 ფოთოლ გაშლილისას,
 მე ვსვამ სადლეგრძელოს
 ძვირფას ყვავილისას.

ჰყვავის, ყვავილის
 სწორედ ამოება,
 მაგრამ ძნელი არის
 მისი მოპოვება.

სახელს ყვავილისას
 ვიტყვი: სინათლეა.
 იგი ზღაპარია,
 მაგრამ სიმართლეა“.

ღიმით დაატანა
 მაშინ თამაღამა:
 „მაგგვარ ყვავილებმა
 მომკლა, გამათავა“.

„არა!“ — უპასუხა
 ყრმამან მოწიწებით...
 „იგი სინათლეა —
 ჩემს მზეს გეფიცებით“.

თვალს არ აშორებდა
 მეგი მშვენიერი:
 „ნეტა ვიქნებოდე
 ისე ბედნიერი“...

და მის უცნაურად
 გულის მღელვარებას
 ახლა არ შეეძლო
 მეტი მდუმარება.

და თქვა გაბედულად:
 „იმას ნეტარება,

ვინაც ყველის ჰელვებს,
 შუქს რომ ედარება!“

ვაჟმა უპასუხა
 ქმნილმა მგზნებარებად:
 „ხვალვე მას მოგარომევთ,
 ეჭვი გეპარებათ?“

იგი სინათლეა,
 დიახ, იმ თავიდან“...
 ვაჟმა გამოცალა
 ყანწი. გადავიდა.

„ხვალვე, დიახ, ხვალვე!
 ფერი რად გერომევათ?
 ხვალვე ამ ჭადართან
 იგი მოგერომევათ!“

ადგა ახალგაზრდა,
 ბოლიში ითხოვა,
 დაემშვიდობა და
 ცხენი მოითხოვა.

ქალი ახალგაზრდა
 გაჰყეა: მიაცილა
 ეზოს ჭიშკრამდე და
 ჰკითხა მეტად ფრთხილად:

— თამსირ, რა თქვი შენა,
 მითხარ, ამიხსენი.
 — მე ვთქვი, რომ მიყვარხარ...
 ნუთუ ვერ იგრძენი?

იცის ჩემი გრძნობა
 მზემ და მღინარემა,
 მას ვერ გამოხატავს
 ქმუნვა, მცინარება.

იცის ჩემი გრძნობა
 ამ მთამ დაღარულმა:
 რამ, რამ დაბადა ის? —
 მხოლოდ სიყვარულმა!

იმას სხვა გრძნობები
 არ უჩნს თანატოლად.
 რა, რა აცოცხლებს მას? —
 სიყვარული მხოლოდ!

ხედავ ა იმ ნაკადს?
 გესმის მისი მლერა? —
 იგი სიყვარულის
 არის მხოლოდ უღერა!

ვით არ დამიმონოს
 უღერამ არფარულმა,
 რამ, რამ წარმოშვა ის? —
 მხოლოდ სიყვარულმა.

გესმის იადონის
 სტვენა მოხარული,
 და რა აცოცხლებს მას? —
 მხოლოდ სიყვარული!“

საიდუმლოება
 თქვეს რა თავთავისი,

გულნი მგზნებარენი
 იყვნენ ორთავესი!

განა მეორდება
 როსმე ის გრძნობები? —
 „ვერა, ძვირფასო, ვერ
 დაგემშვიდობები!

გეტყვი: მაშ, ხვალამდის!
 მე თუ თამსირი ვარ,
 სიტყვა ბეჭედია,
 სხვაში არ ირევა.

ასე, მაშ ხვალამდის...
 ხვალვე, მეგი, ხვალვე
 იმ ყვავილს მოგარომევ!“
 თქვა ეს და უმალვე

ცხენი გააქანა
 და ხევს მიეფარა.
 „მეგი! კარგ მუსაიფა
 რა სჯობია, არა?“ —

ვუთხარ მე ქალიშვილს
 რომ გამოველ ჩრდილით.
 გაიოცა: „რაო?
 ვტკბები მე ზღვის ხილვით“.

„თანაც ვუთხარ — დღეა
 ცისფრად შენაფერი...
 ვიცით, ქალბატონო,
 ვიცით ყველაფერი“!

შენაც მეგი გქვია,
 მეგი ერქვა მასაც,
 შენებრ ასრულებდა
 გადაწყვეტდა რასაც.

იგი, მშვენიერი,
 მართლაც შენა გგავდა,
 მაგრამ ბედი შენებრ
 მას არ ინახავდა.

ვისიც ხედვას ვგრძნობდით
 გულში ისრად მწვდომარს,
 აწ ხშირად ვსვამთ მისი
 სულის შესანდობარს!.

და რა მოხდა შემდეგ?
 სწორედ იმავე დღეს
 გაუცდი ეზოს კარებს,
 მივყევ დაბურულ ტყეს.

და იქ სამი კაცის
 სიტყვებს მოვკარ ყურა:
 „ეპა, რა დარია,—
 თქვეს მათ — საამური!

თუ კი გაგვიმართლდა,
 ლხინი მაშინ სცანი“...
 და ტყეს მიეფარა
 სამი ცხენოსანი.

ვერ-რა გავიგე-რა,
 მაგრამ წინაგრძნობა

მეტყოდა თუ სხვაოა
 სხვაა ცხენოსნობა!

ტყიდან გამოვედი.
 გზაზე სამი მნათი
 ქალის გაიმართა
 ბჭობა-მასლაათი.

ძალზე ხმაურობდნენ,
 ვთქვი, თუ რა აჯავრებთ,
 თითქო რალაცგვარი
 რისხვა მოაჯარებთ.

მე კი სახლისაკენ
 სწრაფად გავექანე,
 მიველ და რას ვხედავ?
 ზღვაა მოქაქანე.

ლელვა, განგაშია—
 „მეგი მოიტაცეს!“
 საზღვარი არა აქვს
 რისხვას და სიმკაცრეს.

თურმე მეგი გარეთ,
 ტყისპირას რომ მოხვდა,
 ტყეში მიმალული
 უცნობი გამოხტა.

ცხენზე აიტაცეს
 მეგი გულწასული.
 თურმე სამნი იყვნენ
 ასე თავგასულნი.

შეკრბნენ მდევრებიცა,
 „მიგყვეთ კვალდაკვალო“—
 მკაცრად გაიძახლნენ:
 „ვერსად წაგვიხვალო“.

მაგრამ რა ეშველა
 ამ სიკაიკაცეს?
 მეგი დაიკარგა...
 მეგი გაიტაცეს!

გული მაინც სხვაა...
 რაც არ უნდა იქნეს...
 თამსირ... გულს ნუ იტეხ...
 ცოცხალია, იქნებ.

ეჰ, ვინ არის მთვლელი
 წელთა და ან თვეთა.
 გარდასულან დღენი
 იმა სიმძაფრეთა.

იმ რისხეათ და ამბოხთ
 გადიარეს ლვართა.
 არ-რა რჩება ქვეყნად
 სიყვარულის გარდა.

ეს ამბავი, თუმცა
 ასი წლის წინ მოხდა,
 მე არ მავიწყდება:
 გულს ის მკვეთრად მოხვდა.

რვაას ორმოცდა რვა!
 რაა საკირველი?

როგორც ასი წელი,
 გაჰქირა ასი წელი!

მეგი! იგი მეგი
 სწორედ შენა გგავდა!
 ალბათ, გრძნობაც მისი
 შენში შენაკადდა.

აბა, მითხარ, თუ რას
 ხელავ აქ გასაკვირს,
 თუ იმ მეგის სახით
 ეჩვენები თამსირს?

გატაცებით, ძებნით,
 დღეზე უფრო ჩქარა
 ასზე შეტი წელი
 ტყეში გაატარა!

თამსირ, სად ატარე
 შენ ეს ასი წელი? —
 კვლავ უცნაურ სტუმარს
 ჰქითხავს მასპინძელი.

„როგორ? ასი წელი?!

მე ტყეში წაველი,
 მე მსურდა მეგისთვის
 მეპოვნა ყვავილი“.

და მეგის თვალებით
 ეპირდაპირება.
 ამბობს: „ავასრულე
 ჩემი დაპირება!

ტყეში მიპოვნია,
 თუმცა გავნაპირდი.
 აი, ის ყვავილი,
 გუშინ რომ დაგპირდი!

მეგი! სწორედ გუშინ,
 სწორედ ამ ადგილას,
 როგორ ვერ იხსენებ
 ასეთ სინამდვილეს?“

„გმადლობთ ყვავილისთვის,
 გმადლობთ, დიდად გმადლობთ...
 დიდხანს დავდიოდით
 ასე, უსინათლოდ“ —

უპასუხა მეგიმ,
 ვერ დაფარა ლელვა.
 უცებ საგანგებოდ,
 თითქო ციდან ელვა,

მოეფინა ეზოს
 იმ სინათლის შუქი,
 შუქი სანატრელი,
 ელექტრონის შუქი!

მაშინ ფეხზე ადგა
 მთელი ის წვეული,
 ერთხმად ადლეგრძელეს
 შუქი ლირსეული!

აოქვეს: თუ სიყვარულის
სიმღერაა გულში,
საქმეს ასი წლისას,
დაე, ერქვას „გუშინ“.

სწორედ უთქვამს მგოსანს
ასწლად წამიერი.
აბა! კიდევ ერთი
მრავალზამიერი!



V

ძ ი ტ ე ს პ

ბუგიეთიდან,
 საღაც ვიწრო
 გზაა ას-მუხის,
 გზაზე ურმებით
 მიღიოდნენ
 ჩვენებურები.
 გმირის კითხვაზე:
 „როგორა ხართ?“
 მათ უპასუხეს:
 „სულ კარგადა ვართ.
 გზაც კარგია.
 მზეც არ გვაწუხებს.“
 დიდის ჭრიალით,
 მაგრამ მაინც
 მიღის ურემი!

ან ჩვენს ნიკორას
 ტვირთი რაზედ
 უნდა ემძიმოს?
 მიღის თამამად.
 ირხევიან აპეურები.
 იხაროს ყანამ,

ბუდეშურიც
 ვაზს შეემწიფოს.
 ვაჰ! რა მოსავალს
 ჩავაბარებთ
 წელს სახელმწიფოს!
 მიდის ურემი,
 დატვირთული
 მიდის ურემი!

ამბობს თუ: რა სჯობს
 მშვიდობიან
 მოგზაურობას,
 ვარ კოლმეურნე
 და სამშობლოს
 ვემსახურები.
 მოშორებული
 ყოველ შფოთსა
 და ხმაურობას,
 კომუნიზმშიაც
 მალე ვნახავთ
 აქაურობას,
 სიმძიმისაგან,
 თუმც ჭრიალა
 მქვია ურემი".

ავტომობილი მოეგებნენ,
 მათ გადიტვირთეს
 კაკალი, მსხალი,
 ბროწეული,
 თაფლი, პურები.
 ახლა ამ ურმის

აიაშაცე
 ვით არ მიკვირდეს:
 ზე შენჯლრეულა,
 მაგრამ მაინც
 აჩენს სიმკვიდრეს,
 ცარიელია,
 ახლა მკვირცხლად
 მიდის ურემი.

აად? — ქალაქისკენ
 უნდა მომკოს,
 რაც დაითესა,
 ჩითეულებით,
 საობურებით
 აძრას, ვით გემმა.
 და კვლავ ამღერდა
 ჩვენებიანთ
 იგი ქიტესა —
 სამხედრო გზაზე,
 უკლისისა
 ერთსა მას დღესა,
 ოცდაათ წლის წინ
 რომ გაიცნო
 მკითხველმა ჩემმა.

— ქიტესა, შენა?
 — ვაჲ — გაჩერდა —
 კირიმე შენი!
 მოდი ურემზე,
 ე რა ფეხით
 მიეშურები!..

კაცო, თუ რამეს
 წერ ჩემზედა,
 ეს ამიხსენი...
 კაცო შეხედე
 ამ ჩემს ხელებს...
 ხომ შეიგრძენი?
 აბა რა კარგად
 აქე მაშინ
 ჩემი ურემი.

„დეპუტატიც ვარ,
 გამიზნული
 მექნება ბიჯი,
 სახელის შეცვლაც
 გადავწყვიტე
 მე უმტკიცესად,
 რაკი ხანს შევეღ
 და ოცი წლის
 არა ვარ ბიჭი,
 ერთხმად დამარქვეს
 ქრისტეფორე
 ქრისტეფორიჩი...
 თუმცა ქართულად
 ისევ ისე
 მქვია ქიტესა.

„ქიტესა ჰქვია
 ჩემს ბიჭსაცა.
 მე შემიტყვია,
 შვილს მიგზავნიან
 რომ ისწავლოს
 აეროპლანი.

„ქიტესა მართავს
 აეროპლანს!“ —

ასე იტყვიან:

„ქიტესა მიჰქრის
 სივრცეებში

ისე, ვით ტყვია:

იგი ეშვება

აეროდრომს,

ბიჭებო, განი.“!

„დღეს სახელმწიფოს

ჩავაბარეთ

არ არეული,

რაც მისთვის გვქონდა

საგანგებოდ

გადანახული,

ცოტა ახალი,

ცოტა ძველი

ნაფარეული,

ცოტა თავთუხი,

ცოტა ყველი

და დეკიული,

ცოტა ციცქა და

ცოტა კიდევ

კარდანახული!

„უნდა გენახა

შემოდგომა

ყვითელ ხაზებში,

ვაზმა ჩვენს ქართლსაც

კახეთიდან

მაღლით დახედა

და დაინახა
შაბიამნის
მწვანე ვაზებში
უბისში, ქსანში,
მცხეთაში და
ნაღარბაზეგში
თავდადებული
წყება ახალ
მევენახეთა.

„ქაცო, მითხარი
რომელია
ახლა ქართველი,
იყოს ქართველი—
არა ვინმე
წყალწალებული,
უქმად იდგეს და
უცქეროდეს,
როდესაც რთველი,
— მით მთა და ველი,
ახალია
თუ ძველისძველი,—
ცეცხლივითაა
გაშლილი და
გაჩალებული!

„გაიგონებდით,
ალბათ, ყურძნის
დიად მოსავალს,
გვეხმარებოდა
აგზებული
ჩვენი ტაროსი.

ოოგორც შიშველი
 მიისწრაფვის
 შესამოსავად,
 გაცხარებული
 დაეძებდა
 გზას გამოსავალს
 იქ მშვენიერი
 ლალი ლვინო
 წითელწყაროსი!

„ოქვენ, ალბათ, იცნობთ
 ახალს და ძველ
 მევენახეებს,
 სანამ რთველია,
 იმათ ჩრდილი
 არ ეჩრდილება,
 როცა შეხედავთ,
 ჟედ ემჩნევა
 იმათ სახეებს —
 მევენახეებს
 ისე, ოოგორც
 ჩვენს მებალეებს —
 ჟედვე ატყვიათ
 დიდზე დიდი
 კამოცდილება!

„ჩვენი კაცი ხომ
 არსად სხვისას
 არ ჩამოითხოვს,
 ამიტომ უნდა
 ვუთხრათ ჩვენს რთველს

ქება-დიდება,
 რომ ყველგან, ყოველ
 ცისმარე დღეს
 და წლის ყოველ დროს,
 დიდ ყურადღებას
 და უფრო დიდ
 გარჯას მოითხოვს
 გაძლიერება
 მოსავალის
 და გადიდება!

„ქართველები ვართ!
 ქებათქება
 ამ პურმარილის
 იყო, დარჩა და
 არასოდეს
 ის არ გაქრება!
 მარტო ეს რაღ ღირს:
 მშვენიერი ჩვენი
 მარნები
 ახალი სახის
 ელგარებით
 იმინანქრება!

„თან, მოგახსენოთ,
 სილალეა
 თითქო არწივის,
 გაფრენა რომ აქვს
 ჩვენებური,
 ფრთების უკვდავის...
 იმ ფრთებს მაგონებს

ვენახები.
 ჩვენი ვარციხის,
 რომელიც
 წვდება
 ამ თბილისსა
 და ამ ქუთაისს!

„თითქო ამბობდეს:
 გაიგონეთ,
 შემოდგომაა,
 ფრთხებით ამ ვაზთა
 ფოთლებში ვართ,
 თითქო გავები.
 რა დროს კრთომაა
 და ან რა დროს
 ჩრდილში დგომაა...
 მომეშველენით!
 მოიტანეთ
 ტევრში რომაა,
 უშველებელი
 ა, ის ღვინის
 საქაჩავები!

„სიახლე დღეთა,
 სწორედ გითხრა,
 ახლა აქ დადის,
 აქ არაფერი
 დარჩა ძველის,
 ასე მგონია,
 სვლაა ძლიერი
 სიმხნევისა

და სიღიადის,
 ცხუმის, თელავის,
 ვანისა და
 გინდა ბალდათის
 შხართან საქარა,
 კვლავ სვირი და
 ზესტაფონია!

„მე ჭაკითხული
 არ მაქვს წიგნი
 ბრძენ ფუკიდიდის
 და მეშინია
 წიგნებისა
 ძნელ საცნაურის
 ისე კი ვიცი,
 ლვინო, როგორც
 ჩვენი ზუგდიდის,
 ახალი დიდი
 აღმაცლობის
 გზებით რომ მიღის,
 თანატოლია
 მარნევის და
 ჩოხატაურის!

„ვაჲ, უნდა ნახოთ
 საწნახელში
 მტევნის მწურავი,
 მიგორ-მოგორავს
 გოგორივით,
 მერე როგორი
 და, უნდა გითხრათ,

საჭნახლებში
 არის მცურავი
 წლევანდელ დიდი
 მოსავალის
 არ მომდურავი
 მთელი ზეგანი,
 მთელი ბახვი,
 მთელი გომბორი!

„აქა-იქ, თუმცა
 სეტყვა იყო,
 იყო და მორჩა!
 ის სეტყვაც გაქრა,
 ის ლრუბელიც
 გადაიკარგა.
 სიღნაღმა თავი
 ისახელა,
 განა ჩამორჩა?
 ძველი სიღნაღი
 პატარძალი
 არის აწ ნორჩი!
 როგორც ბოლნისმა,
 გურჯაანმაც
 მართლაც ივარგა!

„რა საამური
 იყო ჩვენში
 ტკბილის დუღილი!
 თითქო ჯერ რაღაც
 ბუბუნებდა
 უცხოდ ხმოვანი,

მერე ავარდა
 ისე, როგორც
 ჰექა-ჰუხილი.
 რა საამური
 იყო ჩვენში
 ტკბილის ღულილი!
 ჩანდა: გველოდა
 ღვინო მაღალ
 ხარისხოვანი!

„მე დაცდილი მაქვს,
 დე, ნურავინ
 ნულარ აურევს —
 თავ-თავის ადგილს
 იცნონ ვაზი
 შემონაჯარი.
 უკეთესია ვენახები
 ამბროლაურის,
 მისი მაჭარი
 დამცხერობია
 აურზაურის...
 ცაგერს?
 ვინ იტყვის!
 იმ ცაგერის
 სხვაა მაჭარი!

„არის შეცდომა,
 არის დიდი დანაშაული,
 არ იგრძნო ქვეყნად
 მიწიერმა
 ეს სასწაული;

ქინძმარაული!
 გაჲ, რა არის
 ქინძმარაული!..
 რაა ოქროსთან,
 მაგალითად,
 თითბრის შაური?
 არ გიგემნიათ?—
 მაშ არ იცით
 გუნაშაური?

„და ამოძრავებს
 მტევნებს ისე,
 როგორც ხელეურს,
 შემოღვევების
 მძაფრი ქარი
 უფრო ჩქარ-ჩქარა.
 ვერას დააკლებს
 ვერაფერი
 უსახელაურს!
 თითქო მხედარი
 მიაჭენებს
 სწრაფად ბედაურს —
 მხარის დამჭერად
 ოჯალეშის
 მოდის ხვანჭარა!

„საიქიოშიც
 კი გვეყოფა
 გულხელდაკრეფა!
 სულ ვეუბნები
 მეზობლებსა


და შინაურებს:
 ამ უხვ მოსაფალს
 თავის ღრობე
 უნდა აკრეფა!
 სანთელიც უნდა
 გვინათებდეს,
 სანამ ჩაქრება.
 არ მიყვარს, საქმეს
 ზოგ-ზოგი რომ
 აჭიანურებს.

„ეს საქართველო
 იმ თასივით
 უნდა დავქარგოთ,
 ისტორიაში
 რომ ხატავენ...
 ჩვენი ვალია:
 გვექნეს ის თასი
 სულ პირსავსედ,
 საძმოდ, საქარგოდ.
 მელვინეებმა
 მოგვცენ ლვინო
 უდანაკარგოდ!
 ხალხსვე მოხმარდეს
 ქვეუნად რაც კი
 მოსაფალია!

„ბოდიშს მოვიხდი
 მე ვიცოდი,
 რომ თქვენ გახსოვდით.
 აი, სოფელიც.

ძველად ასე
 ყბადალებული.
 ბნელოდა ისე,
 სულს გასცებდით,
 ქვას ჩომ დახლოდით.
 აპანდე, ცენტრში,
 ვერა ხედავთ?
 მომიახლოვდით! —
 ჩემი სახლია
 ელექტრონით
 გაჩაღებული!“

ასალამოვდა,
 სანამ ისრეთს
 გადავარლვევდით,
 ვარსკვლავნი დასხდნენ
 შორი მთების
 კიდით კიდესა,
 თავისუფლების
 სუფთა ჰაერს
 ვსუნთქავდით მკერდით.
 მაშინ ჩვენ, სამნი,
 სულ ძველები,
 ისევ ავმლერდით.
 ერთად ვმლეროდით:
 თვით ურემი,
 მე და ქიტესა.



VI

პირველი ენემისთვე

1911 წ.

დილის ნიავმა
 გაყვითლებულ
 მთებით დაჭერა,
 შემდეგ წყნარის ფრთით
 მდინარის პირს
 რაღაც ჩასწერა,
 ნისლის, მთის კალთას
 შერჩენილის,
 წაშალა ბინა
 და მინდვრის მკერდზე
 ყვავილებში
 გადიბიბინა.

სკოლის აივანს
 დაყრდნობილი
 მალლით დავცერი;
 სოფელში ბნელა,
 წყვდიადია.
 სინათლის მტერი.
 იღუმალ ფიქრში
 და ნალველში
 მოქანცულ სოფელს

იგი წყვდიადი
 თვის უშავესს
 ახვევს სამოსელს.

ხალხო ბედკრულო!
 მე მიჭირავს
 ხელში სანთელი,
 არ შეუკრთება
 საშინელ ხვედრს
 მასწავლებელი!
 იმ სანთლის პოვნას
 განუსჯელად
 სიცოცხლე მივე.
 ვერას დამაკლებს
 უგნურთ მტრობა,
 შიმშილ-სიცივე!

მე ვიტყვი სიტყვას,
 მე გაგითბობთ
 შეცივებულ გულს —
 დეე, თან მდევდეს
 მკაცრი ხვედრი
 თქვენს მარად ერთგულს!
 თქვენ ალგამალლებსთ
 ჩემი ზრუნვა
 თბილი და წრფელი,
 არ შეუკრთება
 საშინელ ხვედრს
 მასწავლებელი!

მე მეითხავს ბავშვი:
 მოსაწვევი
 ჩამოვკრა ზარი?
 — ჩამოჰქარ ჩქარა,
 უფრო ჩქარა! —
 სწავლის დრო არი!
 — მასწავლებელო,
 ეს რას ნიშნავს...
 ღელავხართ მწვრთნელი?
 — ჩამოჰქარ! — სწავლად
 თვისკენ იწვევს
 მასწავლებელი!

ვხედავ, აქ, ჩემკენ
 მოაბიჯებს
 წიგნებით ბავშვი.
 რა აღტაცებით
 შემოვიდა იგი სკოლაში!
 წოდელი ლიმილი
 დასთამაშებს
 მხიარულ ბაგეს...
 თქვენ ნუ დასცინით
 მომავალ გმირს
 და მოქალაქეს.

— მასწავლებელო,
 მოსაწვევი
 ჩამოვკრა ზარი?
 — ჩამოჰქარ ჩქარა,
 უფრო ჩქარა! —
 სწავლის დრო არი!

ნუგეშისათვის
 ჩემკენ მოდის
 მოხუცებული,
 მშვიდ თავშესაფარს
 ითხოვს მისი
 გული ვნებული,
 ავადმყოფობით,
 სიუძლურით
 სასომიხდილი...
 დარაჯად კარს რომ
 მისღომია
 სნება, სიკვდილი.

სავსე ოჯახი,
 უპატრონოდ
 მიტოვებული,
 გაახსენდება...
 უფრო მეტად
 ულელავს გული.
 — ჩემკენ, მოხუცო!
 მე ვიცი, ვინ
 რა მოაგვაროს,
 მე შეგაბრძოლებ
 ისევ შენთან
 მტრად ხდილ სამყაროს!

— მასწავლებელო!
 მოსაწვევი
 ჩამოვკრა ზარი?
 — ჩამოჰკარ ჩქარა,
 უფრო ჩქარა! —
 სწავლის დრო არი!

ვხედავ, აქ ნაბიჯს
 მოაშურებს
 გლეხი მაშვრალი,
 რომ მესაუბროს
 და იმედი
 თან წაიყოლოს,
 მასზე, რომ შავი
 მისი შრომა,
 შრომა მართალი,
 არ დაინთქმება
 უნუგეშოდ
 ბოლოს და ბოლოს.

მასწავლებელო,
 მოსაწვევი
 ჩამოვკრა ზარი?
 — ჩამოჰკარ ჩქარა,
 უფრო ჩქარა!—
 სწავლის დრო არი!

აგერა მოჩანს
 მკრთალი სევდა
 მიმქრალი სახის.
 აჲა, ის მოდის!..
 მოდის წყნარად,
 თავჩაქინდრული.
 განადგურება
 წინ მეხატვის
 მისი ოჯახის,
 გადუტრიალდა
 ბედის ჩარხი
 უკუღმართული.

უნდობმა ხელშა
გუშინ ცეცხლი
რომ გაუჩინა,
ნიშნის მოგებით
მის თვალისწინ
გადიხარხარა...
სახლი დაუწეუს.
და საბრალოს
არა აქვს ბინა.
ჩემკენ, ბედშავო!
მე მაქვს შენთვის
ბინა პატარა

— მასწავლებელო,
მოსაწვევი
ჩამოვკრა ზარი?
— ჩამოჰქარ ჩქარა,
უფრო ჩქარა! —
სწავლის დრო არი!

ორნი მოდიან, რომ იპოვონ
სიმართლე ჩემთან
და გადასწყვიტონ
საბოლოოდ ამტყდარი დავა.
ერთია მათთვის ყველაფერი, —
რაც სურთ, ისა თქვან,
სიბნელემ მათი
მეზობლობა გაანიავა!

— მასწავლებელო,
მოსაწვევი
ჩამოვკრა ზარი?

— ჩამოჰკარ ჩქარა,
 უფრო ჩქარა! —
 სწავლის დრო არი!

მოდის სკოლისკენ
 ახალგაზრდა
 ვაჟი — ვიღაცა.
 იმას უთუოდ
 წიგნები სურს.
 იქ კიდევ — ქალი,
 უუფლებობამ,
 ძალადობამ რომ მოიტაცა,
 და შემდევ ისევ
 გადისროლა
 უგზოდ, საწყალი!

გზას მე გასწავლით,
 ბედერულებო!
 სწავლით გამთბარი,
 ხელში მიჭირავს მე ლამპარი
 სიბნელის მქრობი.
 — მასწავლებელო,
 მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?
 — ო, კიდევ, კიდევ!
 ხედავ, გათბა
 ცისა ტატნობი!

მგზნებარე სხივი
 აიზიდა მხიარულ ცაზე,
 ფრინველთა გუნდმა
 კამარაში გაინავარდა,

ერთი ღრუბელი,
 როგორც მგზავრი,
 სევდიან გზაზე
 რომ დასცურავდა,
 მოსწყდა მწვერვალს
 და ძირს დავარდა!

მე კი ძალას ვგრძნობ.
 მსურს სიცოცხლე ავამოძრავ!
 გავანადგურო
 დაყოლილთა
 შავ ფიქრთა გზნება.
 მომეცი ძალა,
 ლურჯო ცაო,
 ლაქვარდო ცაო!
 რომ შევასრულო
 წმინდად ჩემი დანიშნულება.

და სიმალლემდე
 ავიყვანო
 მუდმივ მხლებელი
 წრფელი მიზანი,
 მოქმედებით უხევად გამთბარი;
 არ შეუკრთება
 საშინელ ხვედრს
 მასწავლებელი.
 აბა, ჩამოჰკარ
 მოსაწვევი,
 ჩამოჰკარ ზარი!



VII

გამოგონება

„გამოგონე
რამ, გევედრები,
ისეთი ღონე,
რომ სინათლისკენ
აგვიხსნას ფრთები...
გამოგონე!“

რატი დაფიქრდა.
ისე, ვით ხვითო
ან ანდამატი,
ევას წერილი
უბეს ჩაიდო.
საბრალო რატი!

„გამოგონე!“ —
რატი დაიბნა.
„ო, მოგონება!
რა უნდა იყოს
ყოფნაზე დიდი
გამოგონება?“

რატის ცხოვრების
გზას ჩრდილმა დაჭრა,
გაჭრა მშვენება,
გულშიც ჩვეული
სიმშვიდე გაჭრა
და მოსვენება.

მაგრამ გულს, ყოვლის
 მიუხედავად,
 ისევ ისევა
 ძილში თუ ცხადში,
 მარად, ერთთავად
 ახსოვდა ევა.

და ძალიან ბევრს
 ფიქრობდა რატი,
 მიმღვარი სარკმელს:
 რა უნდა იყოს
 ის იშვიათი
 და დიდი საქმე —

საქმე, რომლითაც
 დაუზარებლად
 საჭირო ხდება
 ჩვენს ცხოვრებაში
 მისი ჩარევა
 და თავდადება?

ფიქრობდა ამას
 და სხვა ამისგვარს
 ბევრს, უბოლოოდ
 რის გადაწყვეტაც
 მასზე მალლა მდგარს
 შეეძლო მხოლოდ.

რა ექნა?
 ხარბი და თავგასული
 თავს ადგა — არა,

ოსტატი გახდა
 მთლად გაძარცული...
 შვება ვერ. ნახა.

არ ჰქონდა კუთხე
 მეოცნებე ბავშვს,
 ვერ გასცდა კასრებს,
 რომ მისცემოდა
 როსმე თავის თავს
 და თავის აზრებს.

და ქარხანაში
 შევიდა რატი
 ღრომოცდენილი,
 აქაც ცხოვრება
 არ იყო მისთვის
 ვარდით ფენილი.

ცხოვრება მკაცრი,
 ბედი უმართლო,
 გამათხოვრება...
 უსიხარულო
 და უსინათლო
 იყო ცხოვრება.

მძიმე დლეები
 ეწყო იმ ხანად
 მძიმე ვაზნებად,
 მხარე ქცეული
 იყო თოფხანად
 და ზარბაზნებად.

იქ მარცხდებოდა
 არმია, მეფის,
 ვაების ყოფით,
 სათავეში მდგომ
 ურცვ გენერლების
 ცხად უნიჭობით.

და მთელ რუსეთში
 მეურნეობის
 აინგრა კვალი,
 გაფუჭდა, გაჰქრა
 მომწირნეობის
 თვით ნატამალი.

მრავალი ნაკლის
 და სიცოტავის
 გამო მტირალი,
 რკინისგზა იდგა
 მჭლელ, საცოდავად
 გამომზირალი.

მედგარი შრომა,
 გულმოდგინება
 მოსწყდა კარავებს.
 აღამიანის
 სახეს გინება
 აარარავებს.

ფულის ნიშნების
 წახდა მეფობა,
 გაფუჭდა ქისა,

უუფლებობა
 და ნაკლებობა
 გამეფდა დღისა.

და საშინელი
 ჩვენების ჩრდილი
 ადგა, მხრიანი,
 ახლოვდებოდა
 იგი... შიმშილი
 ჩონჩხებიანი.

პირველმა ომმა
 მსოფლიო გზებზე
 არ დააყოვნა —
 ხალხს მძიმე ტვირთად
 დააწვა მხრებზე
 და დაალონა...

უცდიდნენ, — როგორც
 სჯეროდა მრავალს, —
 სიახლის ჰაერს,
 თუნდაც რაიმეს
 გზას, გამოსავალს,
 გზას რამენაირს.

ახალგაზრდობა
 ის მდინარეა
 მხნე და გამტანი,
 რომელიც მუდამ
 უთმენარია,
 მაგრამ ამტანი.

ასე მკაცრ, ასე
 ჩაგარდნილ დროთა
 სხვა ახალ გზამდის,
 ვინ იცის, თუ რა
 მოუვიდოდა
 მგრძნობიერ რატის.

ან ქურდობისთვის
 მიეყო ხელი,
 ან უგზოობით
 სადმე დაეცხრო
 გრძნობები ცხელი
 სარდაფის ცოფით!

იქნებ სხვა ცუდ გზას
 ის დასდგომოდა,
 რომ თაროს მწყობრად
 მდგარი ტომები
 არ გახდომოდა
 ძმად და მეგობრად.

წიგნებთან იგი
 ედრებოდა დევს...
 კითხვას იწყებდა,
 თვის მძიმე და გრძელ
 სამუშაო დღეს
 ის ივიწყებდა.

გადაიყვანდა
 კვლავ კარგი წიგნი
 სხვა სიცოცხლეში.

სულ სხვა ცხოვრებას
 იგრძნობდა იგი
 წიგნის ფურცლებში.

მომჯადოები
 წიგნი საუბარს
 მასთან იწყებდა,
 უმაღლეს გრძნობებს
 გულში ნაგუბარს
 გააღვიძებდა.

წიგნთან ფარული
 გრძნობით დახრილი
 იწვოდა ღამე
 და პოეზიის
 ფერფლგადაყრილი
 კრთოდა სიამე.

კითხულობდა თუ
 უბრალოდ შლილა
 ლექსს, ან პოემას,
 ალელვებული
 გრძნობა უდრიდა
 თაყვანისცემას.

მშვენიერ გრძნობებს
 იგი იქერდა,
 მრავალთა, ბევრთა,
 გულის პოეტი
 კი არა წერდა,
 არამედ მღერდა.

ლექსი სარკეზე
 უსპეტაკესი,
 ახლო გრძნობებთან.
 რატის ფაქიზ სულს,
 თითონ ფაქიზი
 მოუწოდებდა...

ეტყოდა წიგნი
 საქმეს საგმიროს...
 მზად იყო რატი.
 ვითარც ცეცხლმა
 ხმალი დაპიროს,
 ფოლადი მნათი.

მთელი არსებით
 მომავალ ბედის
 მოასპარეზე,
 მთელი შეგნებით
 იგი პოეტის
 დადგა მხარეზე.

და პოეზია —
 მშფოთვარე სულის
 კორიანტელი —
 უწინამძღვრებდა
 მიზანს დასახულს,
 როგორც კახდელი.

და მშვენიერი
 ხმა პოეტისა,
 ასე მგრძნობარი,

რატის მეოშარ
 სულს შეეთვისა,
 ვით მეგობარი.

და ხელოვნება
 შეგნებულ რატის,
 როგორც სამყოფელს,
 წინ უსახავდა
 რასმეს, მარადისა
 და უკვდავმყოფელს.

სავსე იდეათ
 უკვდავთა ქნარი,
 ხმათა მცველობით,
 მას იზიდავდა
 გასაოცარი
 მიმზიდველობით.

პოეტში, მთქმელში
 და ხელოვანში
 ხედავდა მზიანს,
 სასიქადულოს,
 ძლიერს, ყველაზე
 მძლავრ ადამიანს.

ამიტომ სცემდა
 იმისი გულიც
 მგზნებარე ცემით;
 წიგნებისადმი
 ღრმა, უერთგულეს
 პატივისცემით.

შადლობის გრძნობა
 და სიყვარული
 თუ იყო საღმე,
 ისევ ამ უკვდავ
 სულით ძლიერი
 წიგნებისაღმი.

კარგად ესმოდა
 ნირშეუცვლელი,
 მჭედელის სიყრმეს
 ხალხთ მწუხარება
 გამოუსვლელი
 და სევდის სიღრმე.

რა უნდა ექნა
 მაშინ მას, რატის?
 რა უნდა ექნა,
 თუ გრძნობას, გულის
 წვამდე რომ აღის,
 გზა ვერ გაეგნო?

საღ წარემართა
 გულის ნდომანი
 და სულის კრთომა?
 ხელთ ჩაუვარდა
 ლექსად რომანი:
 „ეს შემოდგომა“.

მაგრამ რომანის
 გმირი მთავარი,
 ნატვრის ამხდენი,

არ იყო შისი
 ერის ჯავარი
 და დასაყრდენი.

და არც მოსწონდა
 რატის, მაგრამ ის
 სულ მადლობელის
 მთქმელი იყო იმ
 უდიდეს მწერლის,
 ვინც ულმობელი

კალმით ჩეენს თვალშინ
 ვრცლად გადაშალა
 სურათი მთელი:
 სიცარიელე,
 მერყევი ძალა,
 მიღამო ბნელი;

სიმკაცრე, სისხლის-
 მსმელი ობობა,
 ტანჯვა ათასის,
 და არსებობის
 უნაყოფობა
 იმ მმართველ კლასის,

იმ მმართველ კლასის,
 ვისგანაც ხალხი
 დამონებული,
 იყო სიბნელით,
 სისხლით და თალხით
 დალონებული.

და არაფერი
 არ დარჩა მთელი
 ამ დიდი გემის,
 ის აღარ არის
 ლირსი ნდობის და
 პატივისცემის.

ლვთის მიერ მირონ-
 ცხებული მეფის
 შეირყა ნდობა,
 ბრმა სახელმწიფო
 წესწყობილების
 ვინ თქვას დანდობა?

მათ ქვეშ ჩააწყო
 მწერალმა დიდმა
 ლროის ამინდი,
 თავისი ცეცხლი,
 თავისი რიტმი,
 ვით დინამიტი.

ხმის ამაღლება
 და აღშფოთება,
 ის მრისხანება,
 რისთვისაც მწერალს
 ქვეყნად გოდება
 არ ენანება,

რატის მგზნებარე
 სულს მეტისმეტად
 მძლედ გადაედვა.

გულს შთავნერგა
 და ქვაკუთხედად
 მტკიცედ დაედვა.

მასში მშობელი
 აღელდა მიწა
 ახლის მტკიცებით,
 და მეამბოხემ
 გამოიღვიძა
 მხნე გაღვიძებით.

თუმც ახალგაზრდას,
 დარბაისელს
 რატის ოლონდაც,
 დაქვირვებული,
 დინჯი, ფხიზელი
 განჭვრეტა ჰქონდა.

მას გამომცდელი,
 დაუინებული,
 დაუმონები,
 ვერავისგან ვერ
 დაშინებული
 ჰქონდა გონება.

ცოდნის შეძენის
 წყურვილი დიდი
 რომ აწვალებდა,
 მას საკვირაო
 სკოლების მერხი
 თვისკენ იწვევდა.

სულ მოკლე ხანში
თითქო ანაგებ
უფროსს და უმცროსს –
ჯერ დაეწია
თვის ამხანაგებს,
შემდეგ გაუსწრო.

შეითვისა რა
სულ მცირეოდენ
ძალების ხარჯვით,
ჯერ დასაწყისი
პირველი ცოდნის,
დიდი სიმარჯვით.

სვლას განაგრძობდა
შემდეგ თავისით,
გულით მწყურვალით,
დაუხმარებლად,
დიდი ხალისით
და სიმხურვალით.

სკოლაში დროის
ყოველი წუთი
იყო საზოგი.
რატი სწავლობდა.
აქ ქალიშვილი
გაიცნო ზოგი.

აოცებდა მათ
ჰქუთ, გაგებით
და საუბრებით,

მუდამ. გარს ერტყა
 ამხანაგები
 და მეგობრები.

ამ ლამაზ ქალებს
 ძალა შესწევდათ,
 ხედავდა რატი,
 მაგრამ მათ მაინც
 უძნელდებოდათ
 სწავლა ცოტათი.

მაგრამ ისინი,
 ყველა ერთოავალ,
 ცდილობდნენ მეტად,
 თავიანთ ბედის
 მიუხედავად,
 თავგანამეტად

მოშორებოდნენ
 სიბნელის ქარებს
 ამიერიდან,
 საითკენაც მათ
 სწევდა ცხოვრება
 ყოველი მხრიდან.

ამ ქალიშვილებს
 ჩვეულებრივად
 როცა ხვდებოდა,
 ყოველთვის რატის
 გულს უნებურად
 აგონდებოდა

ევა. ისიც ხომ
 ამათა ჰეგავდა —
 ბევრის მკითხველი.
 მასაც ხომ ასე
 მიიზიდავდა
 გზა მიმზიდველი.

ევა! — სმენას ეს
 ხმა ეფერება,
 ხმა თილისმური...
 როგორი ჰქონდა
 მეხსიერება
 და გულისყური!

რაოდენ შაირს
 იმეორებდა
 ნაფიანდაზებს
 და რამდენს თვითონ
 მოიგონებდა
 ლექსებს, ანდაზებს.

რა საუცხოო
 ზლაპრების ქროლვა,
 სიტყვების ხვევა,
 რა მშვენიერთა
 ამბავთ მოყოლა
 იცოდა ევამ.

როგორი სწრაფი
 და პირდაპირი
 დგას სახსოვარი:

იყო ცხოვრების
 მისის ნაპირი
 შეუპოვარი;

რა გაბედული
 ის იყო ბავშვი,
 რა გაბედული,
 მშობლიურ მთების
 ნათელ ამბავში
 წინდახედული.

მოიგონებდა
 ხშირ-ხშირად რატი
 მზეს, თამაშობას...
 რა მშვენიერი,
 რარიგ ღიადი
 ჰქონდათ ბავშვობა.

როგორ ეძებდნენ
 ისინი მთებში
 ნისლში, ჯაგებში
 ამირანს, შექმნილს
 ძველებურ თქმებში
 და არაკებში.

როგორ ცოცავდა
 ფრიალო კლდეზე
 ის შეურხევლად,
 როგორ დახტოდა
 ლრმა უფსკრულებზე
 პატარა ევა.

შოსწყურდა რატის
 იმ გზით იაროს,
 იპოვოს ევა,
 გაუზიაროს თავისი აზრი,
 შეხედულება.

ის თან წაიღებს
 წაკითხულ წიგნებს,
 იპოვის ევას...
 იგი მონახავს,
 ის გზას გაიგნებს,
 არ დაიბნევა.

ევაც გაუგებს
 მოწოლილ აზრებს
 უკვდავს, მარადისს;
 ევა გაიგებს და დააფასებს
 მის ერთგულ რატის.

და ეს იქნება
 იმის გზა-ხიდზე
 სინათლის მკერძი,
 გამოგონება
 უუდიდესი,
 უუმძაფრესი.

„გამოიგონე!“ —
 რა არის კიდევ,
 შხვა მოგონება,
 რევოლუციის მოსვლაზე დიდი
 გამოგონება?!



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԾՈՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ

VIII

ათას ცხრაას ორმოცი წელი

I.

არის ცხრაას
ორმოცი წლის
ახალისა დამდეგი.
ვიწყებთ ბაასს,
ქლერს საათი —
ომის წინააღმდეგი.

მეორე დღეც
დგება წყნარი,
შემოქმედის ხალისი!
ჩადგა ქარი,
ბობოქარი,
დღეა უბრწყინვალესი.

ო, თბილისი,
სანაპირო,
სწორი,
როგორც მიზანი!
სწრაფვანი და
მიღწევანი —
მრავალ ნათელ წლისანი...

დინჯზე დინჯი
 თბილისელნი
 სანაპიროს მიდიან.
 ცაო, ხშირ-გზის ინისლები...
 დღეს კი...
 რა ამინდია!

აგრიალდა
 მსწრაფლ სიმღერა!
 გულით მღერენ
 ვიცანი!
 აქ მტკვრის ტალღა
 და, აგერაც,
 სულ ორმოცი წლისანი...

„ო, მამულო!
 აფოთლდება
 ცვარით
 მსხმოიარე ზვარი!
 ო, მთაწმინდა!
 როგორა უღერს
 შენი მშვენიერი ქნარი!

დღეს თავის თავს
 მთლად ეყუდნის
 საქართველოს
 მთა და ბარი!
 ჩვენ
 მეოცე საუკუნის
 შემოვალეთ დიდი კარი!

„და ვთქვით:
 აპა, სიცოცხლეო,
 შენს საყვარელს
 ვფიცავთ სახელს,
 ჯერ არ გასულ
 წლებს გილოცავთ
 მზიურსა და
 ცამდე მაღალს —
 ჩვენ გილოცავთ
 საუკუნის
 მზეს, მშვიდობას
 ახალთ-ახალს,
 ჩვენ მეოცე საუკუნის
 შემოვალეთ დიდი კარი!

„ო, მამულო
 საყვარელო!
 ახლა გარეთა
 თუ შიგნით,
 ხმალის,
 გუთნის,
 გრდემლის,
 ჩანგის
 სულის გულთან
 გადაწიგნვით —
 ჩვენ მოვედით,
 მშვიდობის და
 შრომის დიდებული წიგნით:
 ჩვენ
 მეოცე საუკუნის
 შემოვალეთ დიდი კარი“!

სანაპიროს
 ედება როს
 შვენება
 იმ ლიანების
 სივრცის, დროის
 შეჩხევით ჭიქს
 ხმა ორმოცი წლიანების.

სანაპიროს
 ჭადრების რტოს
 ეხვევიან სიონი.
 სანაპიროს
 ახლოს—
 არ—შორს
 მოჩანს კავკასიონი.

II

ერთი წუთით!
 სწორედ იმ წლის
 გზაზე,
 ჩემო მყითხველო,
 ღელვა შემხვდა
 შფოთიან დღის
 ერთობ გაუკითხველი!

წასვლა მსურდა
 სადმე მთაში:
 ბუგიეთს ან ქვადევში,
 ნაცვლად კი იმ
 ხანობაში
 მოვხვდი ნაძალადევში.

იყო ცხრაას
 ორმოცი წლის
 გაზაფხულის დამლევი.
 რას ჰგავდა, რას,
 ღრუბელი ცის
 და სერი ნაკვამლევი!

წამოვიდა
 ციდან თქეში
 ჩქარი, ჯერ არ ნახული,
 სამახსოვროდ სიცოცხლეში
 დამრჩა ის გაზაფხული!

მოჰყეა სეტყვა,
 შთაისმოდა
 ხევხუებში დუღილი.
 მთათა ხეთქვა ჯაისმოდა,
 იყო ჭექა ქუხილი.

ელვის სწრაფი მიმოხვევა
 ჰხევდა ქედის სიშავეს,
 ლელვის ქაფი,
 მიწის რლვევა
 ჰგავდა ქაჯთა სიავეს.

ღამენათევს,
 წარლვნით გვემულს
 უბირებდა განკვეთას,
 ნაძალადევს,
 მთლად მიცემულს
 ავდრის სასოწარკვეთას.

ქვებზე რბოდა
 ნაქუჩებზე,
 ჰქუხდა და ხარხარებდა;
 მე მწვდებოდა,
 კვლავ ქუჩებზე
 გრგვინვით მიგრიალებდა!

რისხვით რეცხდა
 ქვაფენილებს,
 და სარდაფებს ავსებდა;
 ბობოქრობდა
 და თხრილებში
 ზვირთებს ვერ ათავსებდა:

უზარმაზარ ქვებს ასწევდა,
 როგორც კენჭებს ფრთიანებს,
 გლეჯდა სახლ-კარს,
 წააქცევდა
 საგნებს, ადამიანებს.

მახსოვს მეტი,
 უფრო მეტი
 შემხვდა უბედურება,
 კაცმა, ბედით განამეტმა,
 ვთქვი ბუნების მღურება.

ნიალვარმა მიანგრია
 ნაფოტებად ბჭეები.
 იქაც ჰყრია,
 აქაც ჰყრია
 ქვა-ლოდები, ხეები.

და ლვართქაფით
 შესაზარით
 დაიღუპა მრავალი
 კაცი, ბინად
 შენაფარი,
 და ან გზად მიმავალი.

წყალმა ასე
 შეჰქმნა ერა,
 სხვა ამბები ჩაჰკეტა
 და ზრუნვაზე შეაჩერა
 ფიქრი მოქალაქეთა.

დავიწყებად
 იქცა წამით
 თვით ეკროპის ხანძარი,
 მისი ვნებით,
 მისი შხამით
 მიწას გააქვს ზანზარი.

ახლა ნახეთ
 როგორ არის:
 თუ აჩნია სიჩქარის
 და უნდობარ
 ნიალვარის
 რამე იმ არემარეს.

იმ აღგილზე
 კვლავ ააგეს
 სახლი, შვების მწყებელი.
 დაუბრუნდა მოქალაქეს
 სარჩო-საბადებელი.

გაქრა რლვევა,
 გაქრა თავსხმა,
 გაქრა უამიდობა,
 გაქრა ომი
 და თავდასხმა,
 ჩამოვარდა მშვიდობა!

III

გარდავიდა
 იგი ზვავი,
 ჩემგან თქმული
 შაირად.
 მე რისთვის ვთქვი
 ეს ამბავი?
 მოგახსენოთ —
 აი, რად:

მუდამ ასე,
 ჩვენს თბილისში
 ზაფხული რომ იწყება,
 ბუნებასაც,
 თითქო ნისლში,
 არყევს თავდავიწყება.

ხან თავსხმაში
 ძალას ხარჯავს,
 ხან ჰერის ქარის დაგება.
 როგორც ქვაბში
 ისე ხარშავს
 სიცხე-პაპანაქება.

მიყვარს მხნე
 და ქარიანი
 გაზაფხულის თბილისი,
 მისთა დღეთა
 ცა მზიანი,
 მზერა უმახვილესი.

მიყვარს ხაზთა
 მისთა კრთომა
 და მსუბუქი ავდარი,
 მისი ნაზი შემოდგომა,
 მისი რბილი ზამთარი.

მე პატივს ვცემ
 მოხუც თბილისს,
 აგერ ძველი კედელიც,
 ის მოწმეა გარდავლილის
 ომის შეუწყვეტელის.

მიყვარს შრომა;
 მანედ რომ ადგას
 რაც ახალი ნერგია,
 დაუცხრომლად
 რომ ალადგენს
 ნება და ენერგია.

მიწა—მედგრად
 შეძახების,
 ერთი ქალაქთაგანი,
 სახელმწიფოთ
 შეჯახების
 და გათიშვის საგანი.

ოგი ათას ხუთასი
 წლის
 თვლის
 გატანილ ლელოებს,
 უდიადეს
 სიბრძნითა ცლის
 ახალ სადლეგრძელოებს.

შორს კი,
 ვით ნიალერის რკალი,
 მძიე დროის გასავლელს,
 სისხლიანი
 ქარიშხალი
 მოსდებია დასავლეთს.

სურთ წაშალონ
 ქაცთ სამშობლო,
 ჩაითრიონ მსოფლიო,
 გააცალონ
 სამსოფლო,
 შეჰქმნან საიმსოფლიო.

დღე ცავ გრძნობას
 შეხვდებოდა
 ისე. ოოგორც მტერი-მტერს,
 ცნობას-ცნობა,
 მღელვარება --
 ჰავასსა და რეიტერს.

ცეცხლის მდომი იხრებოდა
 ბნელი,
 პირმომცინარე.
 იყო ომი,
 იღვრებოდა
 კაცთა სისხლის მდინარე.

ესა და ეს
 შეხვდა ნალმებს
 გემები და ნავები,
 ესა და ეს
 ჩამოაგდეს
 მალლით თვითმურინავები,

ესა და ეს
 ობიექტი
 დაინგრა, ან დაიწვა
 და ყოველ დღეს,
 თუ ვინ მეტი
 გულგრილობა დაიცვა...

ვით ატალტდა
 მოძრაობად
 შინაური, გარეშე.
 ასე იყო
 მთავრობათა
 ცნობა და ანგარიში.

IV

არასოდეს
 არ ყოფილა
 ახალ ამბის წყურვილი
 იმნაირაც
 ულმობელი
 და ამოუწურველი.

დახარბებულს
 ახალ თქმაში
 თვალს ხვდებოდა გაზეთი
 რა დრო იყო,
 რა ხაფანგში
 მოექცა საფრანგეთი!

ისწორებდა
 პენსნეს ქალი,
 ხელთ მარაო ტყდებოდა,
 ვერ სწყდებოდა
 გაზეთს თვალი,
 სტრიქონს მისცეცებოდა.

შეიცნობდა
 ომის აძებს
 და, ნიშნად გაბრაზების,
 იტყოდა: „ეჭ,
 რალა დარჩათ?
 ჰიპნოზია ფრაზების“

მოწოდება
 ფრანგთა: „დროით
 ყველამ ვცადოთ საცდელი.
 დიღი არის
 საფრანგეთის
 ტანჯვა და განსაცდელი“.

ჩეინო კი
 გაიძახდა:
 „ვერ ავცდეთ ამ საწყაულს.
 გადარჩენა საფრანგეთის
 ძალუძს მხოლოდ სასწაულს“.

ხალხთან, რომლის
 მღელვარება
 არც ლმერთსა ცნობს,
 არც ხატებს,
 ვინ არის რომ
 სასწაულებს
 ცინიკურად აცხადებს?

სასწაული ვერ დახატე,
 ბარემ სთქვი, შესაფერი—
 ხარ სამშობლოს მოღალატე!
 მორჩა, სხვა არაფერი!

რა უჭრიდა გერმანიას
 ზღვისკენ გადასავალ გზას...
 ამნაირად გაიძახდა
 ზოგი რას და ზოგი რას.

მახსოვს: ვიდექ
 ვერის ხიდზე,
 ქვეშ ტალღები გრგვინავდა,
 ზეირთის ზეირთზე დაჯახებით
 მტკვარი შორს მიფრინავდა.

ლრუბელი მთით
 მიმოსწორდა,
 ჰორიზონტზე დაგროვდა.
 მერცხალი ფრთით
 წყალს მოშორდა
 და კვლავ მიუახლოვდა.

შრიალებდა
 ახლომდგარი
 მცენარეთა არშია:
 ბელურების ურცხვი ჯარი,
 ხედავთ, რა ამბავშია?

ვგრძნობდი
 შორს, შორს
 მეტად რთული
 ბედისწერა ცურავდა.
 ვერავითარ „სასწაულით“
 მსხვერპლს ვერ ამოსწურავდა.

ჩადრმოსხმული შორი ქედი,
 მკრთალი მთა და ჰაერი,
 ჯადოსნური ვარსკვლავედი
 ძვირფას ქვათა ნაირი.

საყურით და
 ყელსაკიდით
 ჩნდა თბილისის კალთები.
 მზინავ ზეირთთა
 კიდით-კიდით
 ელავდნენ ასფალტები.

მზით შეთეთრდა
 გზა ყოველი
 შუაგულ და კიდეზე.
 შეჩერდა რა
 უცხოელი
 მოგზაური ჩვენს ხიდზე.

სთქვა თუ
 მდალავს გზა ნაქები
 ბრილიანტის რიღესი,
 მე მინახავს ქალაქები
 მცირე და უდიდესი,

ქალაქი არ შემხვედრია
 ცეცხლით უმახვილესით,
 იმნაირად
 რომ ბრწყინავდეს,
 როგორც ბრწყინავს
 თბილისი!

ის ხიდიდან არის ახალ
 ყოფნის შარავანდედი,
 მტკვრის კიდიდან ადის მაღლა
 მოელვარე ბადეთი

მთაწმიდაზე,
 და იქიდან
 სხვებს
 გადმოაზღვავებს...
 თან უნაზეს სიმალლიდან
 შეერევა ვარსკვლავებს!

მზერად ქმნილი
 კაცი ამბობს:
 ბრწყინავს დედა-ქალაქი!
 მის მარჯვენას გაუმარჯოს,
 ვინც დაგვდო ეს ამაგი!

VI.

შემდეგ მტკვარი
 მთა და ველი
 შუალამემ დაჰფერა
 და მთაბარი
 ძველისძველი
 მაინც ვერ დააბერა.

ციხის შავი სილუეტი
 ლამის შორ
 სიბნელიდან
 უამრავთა
 წელთა მკვეთი
 თითქო დევის ხვრელიდან,

შცნობი დღეთა
 ნამეტანი
 წვისა და გულისძვერის —
 მოგონებით სევდიანი
 დაფიქრებით მიცერის...

იყა ნგრევა,
 სწორედ ეს ის
 იყო გზაჯვარედინი —
 აშ ჩვენ ვდგევართ
 უკეთესის
 ბედის მოიმედენი.

დაგვაკისრა ისტორიამ
 ვალად ხალხის მცველობა,
 რომ წარვმართოთ
 სწორზე სწორი
 გზით იმისი მსვლელობა.

და სიჭხიზლე
 გვმართებს მარად,
 ვწვდეთ მტრის გავერავებას,
 გველურ სიბრძნის, —
 ყოველგვარად
 შევეცდებით გაგებას.

ვთქვი: მოვა დრო,
 ქიშპის საგანს,
 მეღგრად და თავდადებით,
 მოსულს საუკუნეთაგან
 წარსულს გავუმკლავდებით!

მთელი კაცობრიობისა
 სამართლიან ძახილით,
 ჩვენი აწმყოს
 შეცნობისა
 და მომავლის სახელით.

გაიშალა,
 აიწურა
 მათი გამოგონება,
 მათი ძალა
 და კულტურა
 სმენა და გაგონება.

ფრენა ლალი,
 ბრუნვა ჩარხთა
 ბეღზე შხამის სხურების,
 იარალი გახდა ხალხთა,
 ერთა განადგურების.

ჩვენ კი შვება
 გვსურდა დლისა,
 უპირველეს ყოველის,
 მძლე უფლება
 სიცოცხლისა,
 სიხარულის მთოველის!

ო, უფლება
 მზიან ნების,
 ყოფნის, ბეღნიერების,
 რაც კაცს აადამიანებს.
 რაც ნატვრაა ერების!

წყნარი, ოცდაცხრა
 მაისის
 იშვიათი საღამო..
 გამოცდის დღე
 ფლანდრიისა
 ცხარე ომების გამო.

მოხდა რაღაც
 სამარცხეინო,
 ლაქა შავად სხმულია.
 ნუთუ საფრანგეთის ბედი
 წყდება,
 გარდასულია?

მტერი მისი
 სტოვებს სანგრებს,
 მიღის,
 სულ წინ მიიწევს.
 ელვისებურ დარტყმით ანგრევს
 ყოველ ციხე-სი მტკიცეს.

მიღის,
 გზას სისხლითა ჰქარგავს,
 ეპრძეის კაცს და ბუნებას,
 სიცოცხლეებს
 ფერფლებრ ჰფანტავს,
 თესავს განადგურებას!

თავგადაკვლიტ,
 ერთი გზისგან
 კვლავ მეორე გზისაკენ —
 „დაუძინებელი
 მტრისკენ“
 იწევს — ინგლისისაკენ.

მიწა
 დიდმა ბრიტანეთმა
 ოქროს ჯაჭვით შებორკა.
 და, ურიდმა, უფრო მეტმა,
 ზღვები რკალით შემორგა.

გასთან შეჯახებით ცუდად
 წყდება მხარე მხარეზე.
 დღე-დღე ვერვინ შეუზღუდა
 სივრცე და ასპარეზი.

ვერვინ ვერა
 დააკლო-რა,
 ასე რა ემართება...
 შალლით მზერა...
 შორით-შორა
 მიდის, მიემართება.

მთლიანობას
 მისას ყმობენ,
 თრთიან სახელმწიფონი
 და თითქოს მას
 დარაჯობენ,
 ვით სასახლეს გრიფონი.

არა მეტად,
 არა მეტის,
 არა შორეულისთვის —
 ცხარობს ბრიტანეთი,
 მხოლოდ —
 კაპიტალის გულისთვის!

ამნაირ დღეს მეორე დღე
 მისდევს ისარივითა,
 არც გადუხვევს
 და რიგი დღეს
 საფრანგეთზე მივიდა.

მოდიოდა ზვავზე ზვავი
 გრიალებდა ტყიზე ტყე;
 ყველას გვახსოვს ეს ამბავი,
 როგორც გუშინდელი დღე...

ჯარნი შლილნი,
 ცეცხლთ-მიმტანნი
 წყდებოდნენ,
 კვლავ ჩნდებოდნენ,
 ჯარნი მილიონიანნი
 ერთურთს ეჯახებოდნენ.

ცაზე ლვარნი
 იდგნენ ავნი
 და იქ მღვრიედ ლვიოდნენ,
 ფრთა დამჭვარნი
 თვითმფრინავნი
 ფოთლებივით ცვიოდნენ.

ქალაქების, ფაბრიკების,
 გზების, ნავთსადგურების —
 დარჩა ფერფლი,
 დარჩა ძვლები,
 ჩონჩხი განადგურების.

ღველფი
 მღელვარებდა ხანძრის,
 მძაფოის, შეუნელების —
 თვით შორეულ
 ადგილთ გასწვრივ —
 ლანდი საშინელების,

ყოველ გზისად,
 ყოველ გრძნობით,
 ყოვლად ბრმა სიძულვილით,
 გადაწვისა და მკვლელობის
 ერთად-ერთი სურვილით,

ჯერ არნახულ
 სამსალების
 ყვითლად გამოალებით, —
 გამოსტვრეტდა დასავლეთი
 უმკაცრესი თვალებით.

მოსახლეთა
 ჩნდა უსაზღვრო
 სასოწარკვეთილება —
 მშეიდობიან
 მცხოვრებთ გროვა
 მშობლიურ სახლს ცილდება.

ფრანგთა ჩრდილო
 გავდა ქაოსს
 ისეც არა მდიდარი,
 სტოვებდა სახლს,
 სამუშაოს
 და ძონძების მზიდარი

გარბოდა შორს,
 სილრმისაკენ
 სწრაფი ტყვიის ყმობიდან —
 ახალ უბედურებისკენ
 ძველი უბედობიდან.

ოხვრამ მუნჯმა,
 უნიათომ
 და ღრმა სასოწარკვეთამ
 განწირული გული მათი
 ჩაჰედა და ჩაჰეტა.

ლტოლვით რბოდა
 ბედის ეტლი
 და არ ჰქონდა საზღვარი...
 და ივროდა
 შეუწყვეტლივ
 მილიონთ ნიაღვარი.

ვინ მიხედავს
 ხელგანაშვებს,
 ცხოვრებაში უგეშებს,
 დაობლებულ
 იმათ ბავშვებს?
 ბავშვებს ვინ ანუგეშებს?

ვინ მიხედავს, ვინ,
 იმუამად
 ომში ხელფეს მოწყვეტილთ,
 ერთხელა და
 სამუდამოდ
 შრომის კერას მოწყვეტილთ?

გესმის, პროლეტარიატო,
 ეს ხმა სასოწარმქვეთი?
 ეს-კითხვაა
 მარტოდ მარტო
 შენი გადასაწყვეტი!

VII.

იმ წელს, მახსოვს,
 პირველ ივნისს
 მზე ბრწყინავდა ძლიერი.
 კა მტრედისფერ
 სიხალისით
 ელავდა, მშვენიერი.

განიავდა
 და გათავდა
 წვიმიანი შინისი.
 აქეთ ნუში,
 იქეთ ფშატა—
 ასე უსიამესი.

თაფლოვანი
 სურნელება
 ქარს დაჰქონდა ხეების,
 სჩანდა ალვა—
 მოჩვენება
 შორი ყრმობის დღეების.

გაურუოლება
 იყო რბილის,
 ვერცხლისფერი ფოთოლის,
 აე მიჯრად
 მიწყობილის,
 ასე უცხოდ ტოლ-ტოლის...

ამო იყო
 ხილვად მთები;
 ნორჩი,
 ნათელ სიმწვანის
 ფერით ჩანდნენ კიდეები
 მიწის სივრცე - სიგანის.

ვგრძნობდი
 როგორ მოირთო და
 მოიკაზმა თბილისი.
 სამოსელი
 ჰქონდა რტოთა
 ნათელი, ლილისფერი.

თავისუფლად
 და მსუბუქად
 სუნთქვას ადამიანი,

მას სიცოცხლე
ჰსურს მზის შუქად
და არა შხამიანი.

მდინარეზე
რაოდენი
მიმოფრენდნენ მერცხლები.
მოხდენილი
ჰქონდათ ფრენა
ჰაერში ნავერცხლები.

უხაროდათ...
მერცხლებს უყვართ
მზე, თამამი თარეში,
განათლების,
გულთ სიუხვის
და მშვიდობის მხარეში.

ეჭ, მერცხლებო —
ვთქვი — ამოა
თქვენი ფრენა წმოვანი!
გასწით, სადაც
ხმელთაშუა
ზღვაა ლაუვარდოვანი;

სად იზრდება
უეპელი
ხუთვა ოკეანეთი...
სად დიდება
და ნათელი
ჰქონება დიდ-ბრიტანეთის!

დაიხახეთ
 მის ზღვის პირებს
 გაწვდენილი, ვით ლარი —
 რას უპირებს,
 რას უპირებს
 ამერიკის დოლარი!

VIII

იმ დღეს სიო
 ჰქონდა გრილი,
 განცხრა წვიმის ებანი.
 ჰაერს წვიმით
 განბანილი
 სძრავდნენ ალტაცებანი.

ბალახიც კი
 ჩნდა ძლიერი.
 გლეხი გლეხს ეუბნება:
 —წელს უხვი და
 ბელნიერი
 მოსავალი გვექნება.

ხეხილის ბალს
 უვავილების
 ჩამოცვივდა სურნელი,
 თეთრისა და
 ვარდისფერის
 მოსცდა მოსაბურველი.

მალე თაღი აიშლება
 მუხისა და წიფელის,
 სურნელოვან
 ვაშლებისა,
 ატმის, ლოყაწითელის.

ნაწვიმარზე
 მტკვარი ამ დროს
 ისე არ ადიდება,
 რომ ნაპირებს არ ეკვეთოს
 გაზაფხულის დიდება.

მხიარული
 მხოლოდ მისგან,
 რომ ვერ ანგრევს ნაპირებს,
 მტკვარი ისევ კასპიისკენ
 ტალღებს უპირდაპირებს...

მაინც მტკვარი
 თვინიერი
 ძველებურად უჩჩია.
 იმ ადგილს კი,
 სად ძლიერი
 ახალ ხიდის ბურჯია,

წამს მშვიდდება,
 იბალება
 ახლად,
 როს მზე ეცრება:
 მასში ზეცა იხატება,
 შუქი გადეზეწრება.

მტკვარში იმ ცის
 სილაუვარდის
 ვრცელი სილრმე-ზღურბლებით
 მიცურავენ, ფრთადიადი
 დენით, დინჯი ღრუბლები.

სუფთაა და გამჭირვალი
 დღენი ივანობისთვის.
 ირხევიან ხეთა ტანი
 მზას ქვეშ,
 წყნარი გრძნობისთვის.

ყვავილებთან
 სულით, გულით
 კისკისებენ ბავშვები,
 მათ ახალი გაზაფხული
 შუქით ეთამაშება.

იქვე
 მოუბარნი ღინჯალ
 ისვენებენ უფროსნი,
 სხვაგვარია
 ენა, სინჯვა
 მათი სასაუბროსი.

IX

სასახლის და
 კოტეჯების,
 მშვენიერი ვილების,
 ოქონს, ფარჩის,
 ავეჯების,
 იშვიათ ქსოვილების

მეპატრონე,
როგორც ხელი,
პარლამენტში ხმაურობს.
მისთვის
დედამიწა მთელი
ვარდებით მოგზაურობს!

მთელი მხარე
მით სხვადასხვად
შექმნილია ძიებად,
რძის ფერმებად,
თუთუნის წვად,
ბამბის პლანტაციებად.

ვაუბატონი
არც შიშშია,
არ ყოვნდება,
არ იცდის...
ცივად მოანგარიშეა
გული კაპიტალისტის!

ახალ ქვეყნებს
ყველგან ხედავს,
მიწა რბენით მოლია,
სურს ხელთ იგდოს
სიმდიდრეთა
მთელი მონოპოლია.

ანგარიშთა
გათთა ნაშთი
სულ ყოველთვის ომია.
არ იქნება მისად არ ჩნდეს,
რაც ხელმისაწვდომია

ბრტყობის ალმურს
 იქითკენ ძრავს,
 სადაც ის ეგულება,
 რაც ხელს უშლის,
 რაც გის მომსპობ
 ძალებს ეერთგულება.

ვაჟბატონი
 არც შიშშია,
 არ ყოვნდება,
 არ იცდის...
 ცივად მოანგარიშეა
 გული კაპიტალისტის.

X

კაცთა
 უუბოროტესთა
 აზრი ვინ არ იცოდა
 იმ ხანაშიც-კი,
 როდესაც
 რაიხსტაგი იწოდა!

აზრი საქმედ
 თუმც აქციეს,
 მაგრამ განა ცხადია
 ბრიტანეთის
 რეაქციას
 რა სურს,
 ან რა სწადია?

და მეორე
 საზარ ომის
 ქვეყნაღ გამჩალებელი,
 რომელია
 მისაწვდომის
 კარების გამლებელი?

ან ინგლისელთ,
 იმ „უბირებს“,
 არა ჰყავთ მზეერავები,
 არა გრძნობდენ
 რას უპირებს
 მათ ჰიტლერის სვავები?

და არ იცის
 თუ რა ხვდება
 ამერიკის მთავრობას,
 ან როდესაც ემზადება —
 სად აპირებს მგზავრობას?

ან ეით ახსნი
 ახლა სიზმარს
 ინგლისის და სხვებისას,
 თვალთმაქცობას
 ამ საზიზლარ
 მიეთ-მოეთებისას.

ან იქნება ინგლისისგან
 გერმანიის წურბლები
 აღმოსავლეთ
 ქვეყნებისკენ
 მოქმედების უფლებით

აღმურვილან
 აწ სრულიად.
 და, იქნება,
 ვინ იცის —
 პაქტიც კი დადებულია
 გერმანია-ინგლისის!

რაა ჰიტლერს
 სხვა გზისაკენ
 მისცეს ის მიმდევრობა,
 რათა კომუნიზმისაგან
 „დაიფაროს“ ევროპა!

იქნებ გზა-დაბნეულობა
 უშლის ჰიტლერს
 უცადოს...
 და მსოფლიოს
 დაუნდობლად
 ომი გამოუცხადოს?

ან იქნება —
 არა ხვალა,
 არამედ დღეს, სწორედ დღეს
 სწყვეტენ საკითხს,
 კვალდაკვალა,
 სად ვინ შეიარაღდეს!

და არა ხვალ,
 არამედ დღეს,
 შეიძლება, განკითხვის
 მსოფლიოსი
 დღეს გადაწყვდეს
 დიდი ომის საკითხი?

სად ზის
 კაპიტალი ზევსად,
 გულის ნაცვლად ფულია,
 ხრიკი ძალად
 უმაღლესად
 ალიარებულია.

ჩენი გზა კი
 ამა ხანად
 დარია, არ ავდარი.
 რამაც მტერსა
 და მუხანათს
 აურია დავთარი!

არეული ის საქმენი
 შიშით მოცულ პარიზის
 ყველაფერში
 გამოქნილმა
 დელადიემ არ იცის?

XI

მთა სიმკაცრით
 საამოთი,
 ყაზბეგი სიმშვიდითა
 ოვალს იტაცებს
 სალამოთი
 ვერის ძველი ხიდიდან.

ფერთ ცვალებას
 იგრძნობდა ხე
 შებინდების ნაირი,
 აპა შეკრთა ნათელი დღე
 და შეირხა ჰაერი.

ამოვარდა ისევ ქარი
 გუგუნით
 და გრიალით,
 შეარყია არემარე,
 ხეთა ორომტრიალით.

ქარი, ქარი!...
 გაიძაფა
 მტკვარი ხვეულ ზეირთებით,
 შიშით მიწას გაენაბა
 ბალახები, კვირტები...

თვალწინ ლანდი
 ალიმართა
 მეომრის უშორესის.
 ბევრ მეომრის.
 სპეტაკის და
 დიადის უსწორესის —

მეომარის,
 ვისაც წმინდა
 შუქი ანთებს მთიების,
 მეომარის,
 მოკლულის და
 ჯერაც შურ უძიების.

მოვუწოდებ
ცოცხალთ: „აღსდეგ,
მხარე, ავამოქმედოთ
იმ ვეშაპის წინააღმდეგ
ჰორიზონტს რომ მოედო!

იგი ბორგავს,
ის წინ გვისწრებს,
თვალთ კვდომა არ უქრება.
ჩვენ დავამსხერევთ
მეხთა ისრებს,
ციდან რომ გვემუქრება.

რომ ჩემსვლელი
დავსცეთ კურდით
ომის საშინელება,
რომ ომითვე
გავუსწორდეთ
ომის ციებ-ცხელებას.

ჩვენ დავხვდებით,
ჩვენი ფრონტი
საზღვრებს მაგრად
ჩაჰკეტავს,
როგორც კი ჩვენ ჰორიზონტზე
გამოჩენას გაბედავს“.

„—არის რწმენა!
ყველა ჩვენი
ცოცხლობს იდეალები,
ომშა ის ვერ ჩაასვენა,
ვერ ამოსწვა თვალები!

ქარი ჩადგა,
 ლრუბელთ გროვა
 მაღლა-მაღლა მიჰქანდა
 და ლივლივით
 ლაჟვარდოვან
 ცაზე მიმოიფანტა.

ვჭვრეტდი არეს,
 სად ვარდებით
 დასავლეთი ლვიოდა,
 აფეთქების ფერადებით
 მთებში მზე ჩადიოდა.

და მის სხივთა
 ანარეკლით
 მეწამული ნათელით
 იღგა მტკვრის პირს
 თეთრი ძეგლი,
 ზუქთა კორიანტელით —

სახე მშვიდობისა,
 ძალის, სიმტკიცის,
 ძლიერების,
 ჩვენი დიდი მომავალის,
 რწმენის, გულდაჯერების.

და ეს რწმენა
 მაღალთ მაღლის,
 იდეების ჟინია,
 როს ვეფხვი ხარ
 და მომავლის
 გჯერა, არ გეშინია.

ელერს საათი,
 იწყებს ბაასს
 ხმა მგზნებარე და მძლევი:
 მოვა ცხრაას ორმოცდაათ
 წლის მგზნებარე დამლევი!

ველი: გაჩნდეს ამიერით
 ხმა ძლიერზე ძლიერი,
 მაისის ხმა, მშვენიერი,
 ხმა მსოფლიოს მიერი!

ის ისმოდეს
 მთელ მილეთის
 ლამეებში თუ დღეში,
 ის ისმოდეს ამ პლანეტის
 ყველაზე შორ კუთხეში!

იქნებ იგი
 ხმა ძმობისა
 და სიმტკიცის მსახველი,
 გავარდეს შორს
 ვით მშვიდობის
 მომხრების ძახილი.

სწორისათვის
 გმირთა თანა,
 ერთიან მზის ქროლვისთვის
 წინ იწევდეს ეს ქვეყანა
 დიდ მშვიდობის
 ბრძოლისთვის!

შეუშის შკლავს და
 გრდემლს არ სძინავს,
 არტისტი თუ მწერალი
 იქ მიიღივის,
 სადაც ბრწყინავს
 სამშვიდობო მწვერვალი!

მე იმ ქვეყნის
 მხნე ვარ შვილი,
 ვინც საბჭოთა იერის
 მარად გმირულ
 და ბედნიერ
 მლელვარებით იმღერის!

სამშობლოსთან
 დღეს ხელახლა
 დიდ შრომაში ჩაბმულთან
 ერთად მე ხმას ავიმალლებ,
 რომ ძველი გზა
 დასრულდა!

საქართველოც მგზნებარებით
 ძმურ ერებთან მავლელია,
 მშვენიერი მისი ლერბი
 პირველთ შორის სწერია.

დიად გრძნობას
 დღეს იცავს ის,
 იგი იცავს
 ხალხთ ძმობას.
 სულ საერთო საქმისათვის —
 სიცოცხლეს და მშვიდობას!

დიდ მშვიდობას
 სივრცით, რიცხვით
 ჩენ ვიცავდით ზიარად —
 ოქტომბერში
 ოდეს რისხვით,
 ხელთ ვიღებდით იარაღს!

მძლეულ შემხვედრნი
 ქვეუნის მტერთა
 (ყოველ მხარეს უწყოდნენ)
 თვით ლენინი
 და სტალინი
 ჩვენს არმიას უძლოდნენ.

რაღა დარჩა
 იმა მტრისგან!
 დიდი არის ეს გარჯა!
 ძველი დროის მონოჰისგან
 საქართველოც გადარჩა.

აღმოსავლით
 შუქი ალობს,
 გაქრა ლამის წყვდიადი,
 და იშლება გენიალურ
 გეგმების გზა დიადი.

იქ დამდგარა
 წყობისათვის
 ქალაქი და სოფელი —
 საღაცა დგას
 ახალ ქვეყნის
 ფოლადის მხნე მწრითობელი.

ჭაბუქი თუ ასულია —
 შეედრება რომელი,
 როცა კვლად გასულია
 კოლმეურნე მშრომელი.

და ვაჩაყობთ
 იმ შეგნებით —
 მარად ფარად ვექნებით,
 მშენებლობის დიადი და
 უბრწყინვალეს გეგმებით!

და იქნება
 მხარის ჩვენის,
 ქარხნებისა და ზერების,
 მტერმა უცხომ
 ხელუხების
 დარღვევა სთქვას საზღვრების

გომხევლურს ჭკუა შეასწავლონ:
 ბევრი მტერი დასძალეს.
 ეს ახსოვდეს
 აღმოსავლეთს,
 სამხრეთსა და
 დასავლეთს!

XIII

კვლავ დავიცავთ
 კიდით კიდე
 სიკვდილამდე საფიცარს,
 ჩვენს მშობლიურს,
 ჩვენს უწმინდესს
 და საყვარელ ჩვენს მიწას!

რა ძალი არ
 მიიღიონ,
 მანც მრავალ მილიონ
 კაცთა აზრი
 ვერა სძლიონ,
 ძალა ვერ დაგვილიონ!

ვით ზღაპრული შემოქმედი,
 ტიტანი და იმედი,
 გამაგრდება
 ამაღლდება,
 აყვავდება ჩინეთი!

მე შორს ვხედავ —
 რა ძვრებია,
 რა ძალაა,
 რა ხმები!
 ეს — ახალი ქვეყნებია,
 ბედნიერი ქვეყნები!

მშეიდობის მზეს,
 ვისაცა სწამს,
 ყოველ წუთს და ყოველ წამს
 გმირთა გმირი
 კვლავ დაიცავს,
 ვით იცავდა მარადეს!

აწ ხანაა
 სხვა გზებისა,
 ახალ დროის მოგების,
 აქ დარაჯად დადგებიან
 მშრომელები დოკების!

გაუჩენენ უნდობარებს
 მწვავე ცეცხლს და იარას,
 ზღვის უფსკრული გადაფარავს
 აგრესორთა იარალს!

მოელ ქვეყანას
 სავაგლახო
 ხმა მოედოს დედების,
 მათ არა სურთ თვალით ნახონ
 შვილთა მათთა ცხედრები!

სამშვიდობო იშევს გემი,
 აქ სიფხიზლით დგას ჩემი
 მზე ქვეყანა,
 მზე სხივომცემი,
 მზე სამშობლო,
 ედემი!

უძლეველი,
 უანგარო,
 ურყევი და
 გზა ხშირი,
 სულით მძლავრი,
 მკერდმაგარი
 დგას საბჭოთა კავშირი!

მე თავისთავს
 საქართველოს
 მგოსნად ვით არ ვრაცხვიდე?
 მე შვილი ვარ საბჭოეთის
 და ხმამალლა ვაცხადებ:

რომ ერთობით,
 სიმტკიცითა,
 ერთის ხმითა და ფიცით
 ყაჩაღების·
 ბნელ ურდოებს
 რბევის ნებას არ მივცემთ!

ჩვენ არ მივცემთ
 თავის დღეში
 ნებას,
 ვიდრე გვაქვს გრძნობა,
 ახალ ომის უფსკრულებში
 ჩასჭრან კაცობრიობა!

ჩვენ გვიღიმის
 კომუნის ცა
 და ხვალის მზეც ჩვენია!
 ასე მღერის
 დიდ სტალინის
 გამარჯვების გენია!

ს ა რ ჩ ი გ ი

I

	83.
სტალინის დროშით	5
გინა სთქვა	7
წითელი მოედანი	9
მშვიდობისათვის	11
ხალხის გენია, ხალხის ნიჭი	13
ყოველ გრიგალში	14
მეტების ხიდთან	17
ქალალდი	19
მახათა	21
აღსავსე, მზეო	23
სასწავლო წლის დაწყება	24
ბავშვს ჩაეძინა	25
ოთხი დრო	27
რუსთავი	29
ჩემო სტუმრებო	30
აბესინელო	31
მტერს უნდა ძლიო	33
იცოდეს ყველამ	34
ოდას შეუცვლია ფაცხა	35
მეომრის დაბოუზება	36
ვეკერთეთ მომხდურთ და გავიმარჯვეთ	38
ხელზვავი	39
ბავშვს ღიმილი არ უქრება	40
19 ოქტომბერი	42
ვჰედოთ მედგრად	45
ახალგაზრდებო	46
გრძნობათა ფერფლი	47
ამხანაგს	48
ქალს მთებიდან	49
16 გ. ტაბიძე	241

ბასაკირალთან	55
შორი ხმა ლოკომოტივის	57
შეხედეთ მიწას!	62
ოქროს ნავით	63
ავი მუსაიფი	65
მთიბავლი ქალი	67
ძველი წისქვილის ქვა	69
იპატი	70
ხალხი და „მთავრობა“	71
რადიო	72
ამერიკისა იმგვარ სცემს გული	73
ინგლისი და შეერთებული შტატები	75
ევროპავ, გახსოვს?	76
ინდოელების იყო მიტინგი.	79
II. ძლეული სენი	105
III. ამბავი ერთი ღამისა	129
IV. სინათლის ყვავილი	149
V. ქიტესა	167
VI. პირველი ენკენისთვე	177
VII. გამოგონება	197
VIII. ათას ცხრაას ორმოცი წელი	



რედაქტორი ან. თევზაძე
ტექნიკური ან. ლვინიაშვილი
გამომშები შ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 6/XI-51 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
15/XII-51 წ. უ 06476. შეკ. № 777. ანაწერის ზომა 5×8. ქაღალდის
ზომა 54×84. სასტამბო ფორმ. რაოდ. 15,25. საავტორო ფორმ.
რაოდ. 10,25. სააღრიცხვო-სავაჭიმცემლო ფორმ. რაოდ. 13,75.
ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პილიგრაფ-
გამომცემლობის ს ქმეთა სამთართველოს ბიჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

Комбинат Печати Грузиополиграфизата при Совете
Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул.
Марджанишвили, № 5.



ГАЛАКТИОН ТАБИДЗЕ
СОЧИНЕНИЯ

т. V

(На грузинском языке)

Госиздат ГССР
19 — Тбилиси — 52

၁၃၆၈ ၂ ၃. ၂၅ ၄
၂၀၅၀နာရီ ၁၉၅၂ မြွေး
အောက်ဖူး

၂၇၃
၇/၃၄





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



K 19.050/2